F 221/1931

19-20

...სი 15 კ.



ოქტომბრის რევოლუციის 14 წლის თავის აღსანიშნავი დღესასწაული მოსკოვში
ტრიბუნაზე: საკ. კ. პ. (ბ) ცეკას და მთავრობის წევრები—ამხ. ჟდანოვი, ანდრეევი, სტალინი, მოლოტოვი, რუძუტაკი, შვერნიკი და სხვ.



...ომში აგებული იქნა ახალი სანატორიუმი, რომელშიაც დაიდგმება 260 საწოლი.



შაქარი ა.-კავკასიისათვის. ფოთის ნავთსადგურში მოღებული იქნა შაქრის ახალი დიდი პარტია.









საქ. კ. პ. (ბ) ცეკას მეორე მდივანი
ამხ. პ. მელაძე



საქ. კ. პ. (ბ) ცეკას პირველი მდივანი
ამხ. ლ. ბერია



საქ. კ. პ. (ბ) ცეკას მესამე მდივანი
ამხ. ბ. ყურულაშვილი

---

ალექსანდრე გომიაშვილი

# მთას იქით

აი, მყინვარიც —
„ცის და ქვეყნის შუა დაკიდულ".
კავკასიონზე გადადგმული თეთრი მუხ-
ლებით.

დადგება ჯანღი —
ნისლოვანში ჰ[illegible]ივის დარკინულ
საჯიხვეები,
ნაპრალები დ[illegible]უხები.
„ანდეზიტიდ[illegible]
კლდეს ე[illegible]ან აზარმაცები,
რამაც [illegible]
შეა[illegible]შორი გერგეტი.
და [illegible]იბრძვის
მთა ლალუმით გვერდებ ნაცემი
—ბრუნავს ბერკეტი...
გაჰქრა...
სადღაა მოხუც მთების
გულთქმა ადრინდელ...
გახას ბილიკით,
რომ გადივლი კლდეების ნაშალს
დაჰქროლებს ქარი —
გორითი-გორ ნისლებს გადირეკს
და ნალმებიდან
მხრებ-შებერტყილ ბარბაცებს არშა!

„არშას ბაზალი ჯურღმია
ვეფხი კლანჭებზე დგებაო.
განჯას შეჰგლიჯა კლიტენი
ჩემს არშას მოუხდებაო".

ჩვენ-კი: წინაპრის სუნთქვა ბაღლებს
აღარ გვაღელვებს,
ვერ შევასრულეთ
დედაბრების ჩვენზე იმედი,
რადგანაც ნალმმა
თვით შეჰგლიჯა არშას კლიტენი
და თვალი ჩვენი
გადუქროლებს დაბლა ნახერეთს.
ბებერი მთების
დარაჯები ჰკეტავენ კოშკებს
და კოშკებიდან
გასცქერიან ცხოვრების წინსვლას.
ცა დაიქცეს და
ქუხილიდან გრიგალი მოსკდეს
გრიგალით დაჭრილს
არ მეღირსოს ნაჭერი მიწაც,
თუ მეც,
მათგვარი კოშკის დარაჯს,
მათგვარი ზრახვა —
გამივლის გულში
და თუნდ წუთით: მას შეატოკებს.
მე მოვსჭრი სიტყვას,
როგორც ქვას სჭრის ბერძენი ზახარ
და მოხევენიც
ხალხურიდან ასე ამბობენ:
„ყმაწვილო არშის ციხესა
არ შენისთანა ყმა უნდა,
ჩვენს ჩამტანი აბჯართა
ამომტანელი სხვა უნდა".
და ეს „სხვა"
დიდხანს არსად სჩანდა
მთაში თუ ბარად,
თუმცა „ჩამტანიც აბჯარისა"
არვის უნახავს;
მაგრამ, რადგანაც
მიწის წვენი ამოდის ღვარად,
თუნდ აქ,
თუნდა შორს —
დარუბანდის იქით — სურახან!
ჩვენ ვიცით
ჩვენი სამშობლოს მიწის ბარაქა,
ჩვენი ხალხურიც
მთას გაუვლის, როგორც საფანტი:
— „მე დაჭრილი ვარ"!—
ნალმის ცეცხლით ხევში ქალაქმა
სოფელს გადუწვა
იდილია — შემოსაფანტი!..

— ქალაქი ხევში!
ვით გიგანტი მაღალ მთებისა,
გულქვა ლალუმით
რომ შეჰგლიჯოს არშას სადავე,
რომ სთქვას მართალი:
(აქ შესახებ წარმოებისა).
— აბჯარი სხვაა,
ყმაც სხვა უნდა მაშასადამე!

— დიახ! „სხვა უნდა" ტიალო
სადარიალოს მთხრელადა.
რომ გულში გაიკრიალოს
მოსჭრას მადანი ხელადა.
და აჰა. ანდე. გაჰგლიჯა
ნალმმა მთა ვითარც ტიტია.
ამბობენ: პატრონ აბჯრისა
ეს თვითონ ანდეზიტია.

შენ! გვირაბიდან
მაღალ მთების ტრიბუნალი ხარ.
ჩვენ მსმენელები —
ჩამომსხდრები კლდის ქანდარაზე.
კლდის ქანდარაზე
დაწოლილი ნისლი გადიხა
და გასახლეჩი
დირე ნალმმა მაგრად დარაზე!..
შორით მოვსულვართ,
რომ შენს ირგვლივ შემოვიკრიბოთ.
(რომ გადვიტანოთ
თან წუხილიც ყოველი ბინდის).
წამოიმართენ
მოხევენი მთებიდან თითქოს —
ფრანგულით,
თოფით,
ხანჯალით და
ზოგიც დურბინდით, —
ისე გადირეკ
უკანასკნელ მთების ნაგრილებს,
ისე წამოვა
წვიმა ღრუბელ თულუხებიდან.
მთას იქით
ნალმნი დადგებიან რისხვის მაგიერ
და გადივლიან
დგრიალით მთებს ჭიუხებიანს! —

„აღარ შორდება ნისლები
მაღლის ჭიუხის წვერსაო,
ჭიუხის კუჭოლაზედა
სინდაურაი წევსაო.
ჯიხვნ ნუ ჩივიან წარაფსა
წარაფნ წრიაპის წვერსაო.
ჩვენს გარდასახედ სარტყელში
ვეფხი პწკლიანი წევსაო".

ჰო და... ეგ ნისლიც
ხომ გადიხა ჭიუხებიდან,
შენ ვეფხი ხარ და
დალადრე მთებს არშით ყელები.
მე სინდაურა.
შენი ხმები — ჩემი ხმებია
და ეს ლექსებიც
ხმა მეტყველი კლდის სიბრტყეები.
და თუ ჩვენს შორის
ვინმე არის ტემპში წახრილი,
როგორც მხდალი და
მოჩანჩალე ახალ დროისა, —
საერთო სუნთქვამ
სახსრებ შიგნით გაჰკრას ძარღვივით,
რომ ან მორჩეს და
ან ტემპშივე—ტემპით მოისრას!..
შენ — გვირაბიდან
მაღალ მთების ტრიბუნალი ხარ
ნალმო,
და ველით,
რომ დავზვეროთ შენი ნატორი.
ინგრევა მთები...
— უკანასკნელი ბინდიც გადიხა
და მოსჩანს ირგვლივ
ინდუსტრიის ვეფხის ნახტომი!..

# ნავთის ექსპრესი

ბაქოს ნავთმა უცხოეთის გემზე მოხვედრამდე უნდა გაიაროს მანძილი ბაქოდან ბათომამდე, კასპიის ზღვიდან შავ ზღვამდე. ჩვეულებრივ ამ მანძილს ნავთის მატარებელი გადის 60 საათში, ზოგჯერ კი ეს დროც არ არის საკმარისი, მაშინ, როდესაც სამგზავრო მატარებელს 30 საათზე მეტი არ სჭირდება ამ მანძილის გასარბენად.

ნავთის მატარებელი მძიმეა, მისი წონა 2.000 ტონამდე აღწევს. მისი სწრაფად წაყვანა არ შეიძლება, ამის საშუალებას არ იძლევა ა.-კ. რკინის გზების პროფილი. განსაკუთრებულ დაბრკოლებას ჰქმნის ამ მხრივ სურამის საუღელტეხილო უბანი, სადაც დიდი სისწრაფის განვითარება აუცილებელ კატასტროფასთან არის დაკავშირებული.

მეორეს მხრივ საექსპორტო ნავთის პროდუქტების გადაზიდვის დაჩქარების აუცილებლობა ა.-კ. რკინის გზების წინაშე აყენებს ამოცანას—გამონახოს საშუალება სამარშრუტო მატარებლების მოძრაობის გასაძლიერებლად. მიღებული უნდა იქნას ზომები, რათა ნავთის მატარებლები დაუბრკოლებლად მოძრაობდნენ მთელ ხაზზე და ამასთანავე შეძლების დაგვარად გადიდებული იქნას მათი სიჩქარე.

შესაძლებელია თუ არა ნავთის მატარებლის უფრო ადრე მიყვანა ბათომში, ვიდრე ეს გათვალისწინებულია მატარებლების მოძრაობის ცხრილში?

სწორედ ამ მიზანს ისახავდა ამიერ-კავკასიის პირველი ნავთის ესტაფეტი, რომელიც ამასწინად მოაწყო რკინისგზელთა პროფკავშირის საგზაო კომიტეტის ფიზკულტურის ბიურომ.

ესტაფეტა დაიწყო ბაქოში 15 ნოემბერს დილის 9 საათ[illegible] და დამთავრდა ბათომში 17 ნოემბერს [illegible]ადღევის 4 საათზე. მთე-



ზევით: ცისტერნის გასინჯვა სამტრედიაში. ქვევით: ბაქოდან განჯამდე შემადგენლობის წამყვანი ბრიგადა

ლი მანძილი ბაქოდან ბათომამდე დაფარული იქნა 55 საათში. ამრიგად, ესტაფეტამ დაამტკიცა, რომ შესაძლებელია (ცხრილით

მაგრამ ამ ძირითად მიღწევასთან ერთად ესტაფეტას ჰქონდა სხვა მიღწევებიც. ესტაფეტის მსვლელობისას გამოირკვა რკინის გზის აგენტების დამოკიდებულება თავიანთ მოვალეობისადმი. გამოირკვა, რომ რკინის გზის აპარატი ყველგან სათანადოთ ვერ მუშაობს, რომ შემოდგომა-ზამთრის ტვირთზიდვა არ სდგას ყურადღების ცენტრში, რომ არ არის გაშლილი ბრძოლა ამხ. ანდრეევის ბრძანების შესასრულებლად, რომ მთელი რიგი აგენტები ფორმალურ-ბიუროკრატიულად უდგებიან თავის მოვალეობს,

ამის საილუსტრაციოთ საკმარისია მოვიყვანოთ შემდეგი ფაქტი: სად. უჯარაში, ესტაფეტის უფროსმა სადგურის მორიგის სახელზე დასწერა ბარათი, რომელშიაც სთხოვდა მას საგზაო კომიტეტის ვაგონისათვის სანთლებს. ბარათი წაუღო მორიგეს. ამ უკანასკნელმა ბარათის წაუკითხავად დააწერა მას—მატარებელი მოვიდა ამა და ამ დროსო, (ბარათი მან მატარებლის დოკუმენტად მიიღო). ეს დამახასიათებე-



ზევით: ესტაფეტის უფროსი ესაუბრება რკინისგზელებს ბათომში. ქვევით: სურამის უღელტეხილზე შემადგენლობის წამყვანი ფიზკულტურელები.

ლია. ეს ამტკიცებს, თუ როგორ ფორმალურად ეპყრობიან ზოგიერთი აგენტები თავის მოვალეობას.

ესტაფეტა იმით იყო საინტერესო, რომ მთავარ გადასარბენებზე მატარებელი მიჰყავდათ ფიზკულტურელებს. აქსტაფიდან თბილისამდე, ხაშურიდან ზესტაფონამდე, სამტრედიიდან ბათომამდე ორთქლმავლებს მართავდენ ფიზკულტურელი მემანქანეები მათ ენერგიულ მუშაობას უნდა მიეწეროს ესტაფეტის გამარჯვება. განსაკუთრებით აღსანიშნავია ფიზკულტურელი მემანქანეების მუშაობა სურამის უღელტეხილზე. მათ დიდი სიფრთხილე და საქმის ცოდნა გამოიჩინეს. მატარებელმა მთელი უღელტეხილი გაიარა ოდნავი დაზიანების გარეშე.

ესტაფეტისადმი დაუშვებელი უყურადღებობა გამოიჩინეს ბაქოს და თბილისის

ფიზკულტურელებს სრულებით არავითარი მონაწილეობა არ მიუღიათ ესტაფეტაში. თბილისის ფიზკულტურის საბჭომ კი თუმცა გამოჰყო სპეციალური კომისია ესტაფეტის შესახვედრად, მაგრამ პრაქტიკუ-



ზევით: შემადგენლობის მისვლა ბათომში. ქვევით: ბაქო, ნავთის კოშკები.

ლად არაფერი გაუკეთებია. ესტაფეტას არც ერთი ფიზკულტურელი არ შეხვედრია სადგურზე. ეს ფაქტი ამტკიცებს, რომ ფიზკულტურის საბჭომ ვერ შეაფასა ესტაფეტის დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა.

ესტაფეტას ჰქონდა მრავალი ნაკლი, მთავარი მათ შორის მდგომარეობს იმაში, რომ ესტაფეტამ ერთგვარი რეკორდსმენობის ხასიათი მიიღო. ესტაფეტის ხელმძღვანელობა გამოეკიდა დროს, დანარჩენი მაჩვენებლები კი ჩრდილში დარჩა. მაგალითად, არავის უდევნებია თვალყური იმისათვის, თუ რამდენ საათს იდგა განუტვირთავი ბათომში ესტაფეტის ცისტერნები. ბათომის სადგურზე გაჩერებისთანავე ესტაფეტის ხელმძღვანელობამ თავისი მისია დამთავრებულად ჩასთვალა. საჭირო იყო ბოლომდე მიყოლოდა იგი ბაქოდან წამოღებულ ნავთს, გამოერკვია ყველა მიზეზები, რომლებიც აბრკოლებენ ცისტერნების დროზე განტვირთვას ბათომში.

აღსანიშნავია კიდევ ერთი გარემოება. გზის დირექციის მიერ წინადადება ჰქონდა მიცემული ყველა სადგურებს რიგს გარეშე გაეშვათ ნავთის ესტაფეტის მატარებელი. ასეთ პირობებში რამდენიმე საათის მოგება, თითქოს, არ წარმოადგენდა დიდ სიძნელეს. საჭიროა ამ მიღწევის შემოწმება ახალი ესტაფეტის მოწყობით. ეს ესტაფეტა ჩაყენებული უნდა იქნას ისეთსავე პირობებში, როგორც სხვა სამარშრუტო მატარებლები. თუ ამ შემთხვევაშიაც მოგებული იქნება რამდენიმე საათი, მაშინ შეიძლება დაისვას საკითხი მატარებლების მოძრაობის (ცხრილის) შეცვლის შესახებ

F 647

ეროვნული ბიბლიოთეკა

არჩილ ჩაჩიბაია

# ორთქლმავალი № 174

(ნაწყვეტი მოთხრობიდან)

ორივე მხრით დგანან თეთრ ბოწოწიან ქუდებში.

ორთქლმავალი ხრჩოლავს ზანტად.

ჯარისკაცები ყრია რონოდებში:—სველ ქურქში, გახუნებულ დაკერილ მაზარებში, ჭუჭყიან, გაზიფნულ ხალათებით, ძირგამოვარდნილ მაღალყელიანი ჩექმებით, ვალინკებით, წვირიანი თავით, რომელსაც წამდაუწუმ იფხანენ.

წეწკავენ ლილიფარას მარცვლებს.

კუთხეში აჭყიპინდება გარმონი.

თითქოს დაავიწყდათ ამდენი ტანჯვა, ეს წვალება, ეს ქარბუქიანი დღეები, ბრძოლები, სისხლი, ტყვიებით დაცხრილული ძმები, დები, ყუმბარებით დარღვეული იალაღები, ფერდობები, დანგრეული შენობები, ქალაქები და გადამწვარი სოფლები, ზარბაზნების გრუხუნი და გარმონის მხიარულ ხმებს აყვა ხორხოცი, ჯგუფური ცეკვა, შეძახილი..

ყველა რონოდებიდან თავს იყრიან იქ და გაისმის ჩექმების ლურსმნიანი ქუსლების ბაკუნი.

ორივე მხრით დგანან თეთრ ბოწოწიანები და ადგილიდან არ იძვრიან.

სადგურზე ჯარისკაცების გარდა არავინ არაა.

ირგვლივ საშინელი დუმილი, შიში და პროვინციალური დაბის მოწყენილობაა, რომელსაც ამჟამად ჯარისკაცების შეძახილი, გარმონის ჭყიპინი თუ არღვევს.

დარბაზში გადაბრუნებულია ბუფეტი და ხვავად ჰყრია საინების, ჭიქების, ბოთლების ნამსხვრევები.

სადგურის გვერდით ჩაყენებულია ღია გადამწვარი რონოდები.

მის იქით ნათივარი რონოდები და კიდევ იქით—ის ორთქლმავალი, № 174. ორთქლმავალის ორივე მხრივ დგანან დარაჯები.

წყვილი თვალები არ შორდება ივანე შულიაევის თვალებს.

ივანე შულიაევი მოკაკვულია ბორბლებს შორის და მძიმედ ურტყამს სამუხრუჭე ზოლრკინას გრძელტარიან ჩაქუჩს.

ბორბლებზე დგას უზარმაზარი ქვაბი წყლით, ორთქლით, მაზუთის კასრებით, სახშირით, მემანქანით და ცეცხლით.

ხრახნებიდან ჟონავს ზეთი, მაზუთი.

ჩვიდმეტი წელიწადი სწმენდავდა ამ ხრახნებს ივანე შულიაევი და შვილივით უყვარდა.

ჩვიდმეტი წელიწადი აკივლებდა ამ უზარმაზარ რკინის ნადირს და მიაქროლებდა ტრიალს გადაშლილ ველმინდორში ზამთარზაფხულ, დღისით თუ ღამით, როცა სივრცე ჩამოშავებულია და საწვიმარ ღრუბელივით აგდია.

როცა ვერ გაარჩევ კაცია რომ შრიალებს, კაცია რომ მოძრაობს თუ ღამეა თვითონ.

ათუხთუხებული მანქანა თავაწყვეტილივით მიჰქრის, თითქოს ამ ბნელისაგან იყოს დაფეთებული და ბლავის თავგაროფილივით.

ბნელია წინ.

ბნელია უკან.

ბნელია ირგვლივ და ასე: ივანე ჩვიდმეტი წელიწადი მიაქროლებდა საყვარელ მანქანას.

ბნელში ეძებდა გზას და სტოვებდა ისევ ბნელში.

და ახლა: ისევ დაჰყურებს ამ საყვარელ მანქანას.

ისევ ეხება ხრახნებს, მაგრამ რატომღაც უფრო გულგრილად. უფრო ცივად.

ორივე მხრით დგანან დარაჯები.

ამუშავებენ ძალით.

ორი წყვილი თვალები ჯიუტად შესცქერიან ივანეს ყოველ მოძრაობას.

ჭალარა შერეულ ნაოჭიან, დაღარულ სახით, მაზუთით გაგნესილ შავ ხელებით ის ისევ ნელა, ისევ დინჯად, ისევ წარბშეუხრელად და მოფიქრებით სინჯავს ხრახნებს.

— მოხუცო! დრო მიგაქვს! თვალთმაქ-[illegible]

— გეტყობა გამოუცდელი ყრმა ხარ! ვისთვის იბრძვი ბიძია შენ?! რუსეთის ძლევამოსილობა გაინტერესებს არა?! სასაცილოა, პირდაპირ! შენ გამოუცდელი ხარ!.. შენ ბრმა იარაღი ყოფილხარ ოფიცრების ხელში!..

ამ დროს რონოდიდან გადმოხტა მორჩილი ტანის ოფიცერი.

— რას ყრანტალებ ბებერო ძაღლო! იცი თუ არა შენ ვისთან გაქვს საქმე?! რწყილივით გაგსრესავ ასეთი სიტყვებისათვის.. სრულიად დამშვიდებით აგჩეხავ! მე კარგად ვიცნობ შენს ოჯახს... ალბად გეხსომება. უფროსი ვაჟი ასეთი სიტყვებისათვის არ იყო რომ დაგიხვრიტეთ! ბედზე ახლა უმცროსი ვაჟი ზელიკ გაიქცა, თორემ იმასაც ისეთივე ბედი მოელოდა.. სამაგიეროდ შენ ხომ ჩვენ ხელთა ხარ! ვერსად წაგვიხვალ... ალბად გაწყენება ამბავი თქვენ ქალიშვილზე, ის უკვე ცოცხალი არ არის, ჯერი შენზეა და თუ პატიოსნათ არ იმსახურე, შენივე სისხლით შეიღებება ეს ბორბლები! გაისრისები ისე, რომ შენი ფერფლიც ვერ ნახოს ადამიანმა..

და უცებ—მან შეამჩნია ველების გასწვრივ რომ მოჰქროდა შმაგათ ბედაური.

ოფიცერი უმალ მოტრიალდა.

იცნო ლავინი და გაიქცა შესაგებებლად.

ივანეს გულში თითქოს ერთი ძარღვი ჩაწყდა.

თვალებს ბურუსი მოაწვა და გონებას გაურკვევლობა.

მერე ნელა გამოხოხდა ბორბლებიდან და ორთქლმავალზე ავიდა.

ხელები საშინლად კანკალებენ და სახეზე ფითრთოხლის ფერი დაჰკრავს...

— მაშ, სალიტა არ არის?! სალიტა მკვდარია! ზელიკი გაიქცა... შეიძლება ახლა შუბლ გახვრეტილი სადმე გდია. დაინგრა ათეული წლებით ნაშენი ოჯახი. მაშ, არ არის თვითონ ივანე შულიაევიც... მე რაღა სიცოცხლე დამრჩენია. მე ვიცი... მე ვიცი.. მე ვიცი... ვნახოთ ვინ ვის სჯობნის... მე ვიცი... მე ვიცი...

თვალები აუსისხლიანდა.

უნებურად წარბები შეჭმუხნა ორთქლმავლიდან სწრაფად ჩამოვიდა და ისევ ბორბლებ ქვეშ შეხოხდა..

ორთქლმავალი № 174 ხურდა.

ამასობაში ლავინმაც მოაგდო ოფლით ფერდებ შესაპნული თეთრონი.

ოფიცერმა დეზების ჟღარუნით მისცა სალამი და თან დასძინა.

— ყველაფერი რიგზეა თქვენო აღმატებულებავ! ნახევარ საათში გავალთ სალაშქროდ!

— მემანქანე?!—იკითხა მან.

— თვალთმაქცობს!

დანიშნულ ადგილზე მისვლისთანავე დახვრიტეთ!

— მესმის!

ივანე ისევ გამოხოხდა ბორბლებიდან. მისცა სალამი ლავინს და ისევ სწრაფად ავიდა ორთქლმავალის შავ კიბეზე.

— ლოჩალად იქცევა! გამოცვლილა!—შენიშნა ლავინმა—ალბად იგრძნო ბედისწერა.. ადამიანს ხშირად ბედისწერა ამოქმედებს!

ოფლში გაცურებული ჩაცრისფერი ცხენი ფრთქვინავდა.

მალე გაიცა ბრძანება ჯარისკაცები რონოდებში შესულიყვნენ.

ასტყდა აურ-ზაური, ჯახჯახი, ხრიალი, ჟღარუნი...

სადღაც გარმონი ჭყიპინებდა ისევ და აყვა ტაშიც.

— რა გამხიარულებს ბიჭო?!

— სიკვდილის წინ, ადამიანი ძალზე მხიარულია!

— სტეპო შენი ამბავი, რომ ვიცი გაანადგურებ მტერს!

— თუ მოვერიე უთუოდ!

— მარჯვე ბიჭი ყოფილხარ, [illegible]

ბმულ რონოდებს, სადაც ერთმანეთზე ყრია დახეულ ჩექმებიანი, გაზიფთულ პერანგიანი, უძილობით თვალებ დაწითლებული ჯარისკაცები.

შეჰყურებენ ცას.

ცა თოვლად ჩამოდის რონოდებთან და რონოდების იქით თეთრად იპენტება სივრცე.

ლავინი და ახალგაზრდა ოფიცერი ისევ ორთქლმავალისაკენ წამოდიდენ.

ივანე შულიაევი ჩამოვიდა ძირს.

წუთით ორთქლმავალი ფოსფორულ სინათლით განათდა.

მერე სინათლე მიბჟუტდა.

ივანე შულიაევი ჩამოვიდა ძირს.

სახეზე არაჩვეულებრივი მოუსვენრობა უცნაური მღელვარება ეტყობოდა.

ხელები თრთოდა და გული საშინლად უცემდა.

— მე მზად ვარ! ორთქლმავალი მზადაა! მოსვლისთანავე ხრინწიანი ხმით უთხრა მან.

— ხოლო ნელა წაიყვანე! იქნებ გზები გაფუჭებული აღმოჩნდეს!

— მესმის თქვენო აღმატებულებავ, მაგრამ გულახდილად გეტყვით: შეიძლება ორთქლმავალი გზაში გაგვიჩერდეს!.. დანიშნულ ადგილას ვერ მიაღწიოთ!

— რატომ?! — გაკვირვებით შეეკითხა ლავინი და...

და...

თითქოს მიწა აგრგვინდა.

თითქოს ცეცხლად ჩამოიქცა თოვლის ცა. აგრგვინდა, აქუხდა ორთქლმავალი და შავი კვამლი გადაეფარა ყოველივეს...

ბოწოწიანები გაეხვიენ ბოლში და ჩადნენ.

წუთით გადაბრუნებულ, დამსხვრეულ ორთქლმავალს გაუჩნდა ცეცხლი და ცეცხლის ლურჯი ენები სისინით მიიწევდენ ზევით.

— აი, თუ რატომ ვერ წავა!—თითქოს ჰკიოდენ ივანეს თვალები.

ირგვლივ საშინელმა გრუხუნმა, ქუხილმა შიში, დაბნევა დამოიწვია.

ზოგი იარაღს ეცა.

ზოგი რონოდას მიეტმასნა და კანკალებდა ბნელ მოლოდინით.

ლავინის ცხენი ყალყზე ადგა და ფრთხკინვით მხედარ-მოწყვეტილი მინდვრებისაკენ გაიჭრა.

ლავინი ძირს ეგდო გონება გაბრუებული, შუბლ დასისხლული.

ცა ისევ თოვლად ჩამოდიოდა.

ძირს დანგრეული ორთქლმავალი ეგდო და მაზუთით გასვრილ ყუთებს ნთქავდა ცეცხლის ტკრციალი....

კვამლთან ერთად მოწყდა ადგილიდან ივანე შულიაევი. მირბოდა ივანე და უკან სტოვებდა ცეცხლს. აფეთქებულ ორთქლმავალს.

მას ჯერ კიდევ კარგად ესმოდა, თუ როგორ გარბოდენ ორთქლმავალისაკენ ჯარისკაცები.

მას ისიც კი ესმოდა, თუ როგორ უყვიროდენ ოფიცრები დაბნეულ ჯარისკაცებს.

მირბის ივანე.

ცა ისევ თეთრად ჩამოდის ძირს.

თეთრია სივრცე წინ, გვერდით, მხოლოდ უკან—კვამლ გადაფარებული, საშიში, ამაზრზენი ხმით აკანკალებული.

ჩვიდმეტი წელიწადი შვილივით უვლიდა ამ ორთქლმავალს ის და შვილივით უყვარდა.

ჩვიდმეტი წელიწადი ჰკიოდა ყრუ ღამეებში ეს ორთქლმავალი მის ხელში და ახლა კი დამსხვრეული გდია მისივე ხელით.

და მირბის ივანე ისევ.

წინ ჯარისკაცია.

გადაუხვევს გვერდით.

შევარდება სადგურში, კარები დაკეტილია.

[illegible]

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საბჭოთა თვითმფრინავის ფრთებზე

## II

მეორე დღეს თვითმფრინავი დილაად რიან აფრინდა.

ბაქოდან მესამე მგზავრი მოგვემატა. ისიც მოსკოვამდე მიდის. ეს არის ამხ. ს. ვოროშილოვი—ქ. არხანგელსკის მილიციის უფროსი. კაცი მეტად ენაწყლიანი, იშვიათად გულკეთილი და ოხუნჯი, ისეთი, როგორსაც რუსები, „რუბაშკა-პარენს“ ეძახიან.

მეტად სასიამოვნოა ასეთ მგზავრთან შორეული საჰაერო გზის განცდათა გაზიარება. მაგრამ თვითმფრინავში ლაპარაკი არ შეიძლება. ამისათვის არ გეყოფა ხმა. ამიტომ საუბრის საშუალებაა მიწერ-მოწერა. ან პანტომიმა. პირდაპირ კურიოზული სურათებია. ერთმანეთს გვერდით უზიხარ, მაგრამ იმისათვის, რომ მეზობელს ორი სიტყვა უთხრა, ფანქარი და ქაღალდი უნდა აამუშაო. მეორე ხერხი კი პანტომიმაა —მუნჯი ლაპარაკი ,აზრის გამოთქმა თითებითა და მიხვრა-მოხვრით...

ბაქოდან გასვლისთანავე ჩვენმა პილოტმა გეზი ზღვით აიღო. ის, რაც შეიძლება სჭრის მანძილს. ხმელეთის მიკიბულ-მოკიბულ ნაპირებს მარცხნივ სტოვებს და, ზღვით მიფრინავს, მაგრამ ისე კი, რომ ნაპირს თვალიდან არ ვკარგავთ, დროგამოშვებით თვითმფრინავი მეტად ლოძად შეიჭრება ზღვაში. მაშინ ამხ. ვოროშილოვი, რომელსაც ეს ძალიან მოსწონს, გაშლის ერთ ხელს, მეორე ხელის საჩვენებელი თითით ხელის გულზე წრეს შემოხაზავს და შემდეგ თითს ამ წარმოსახვით წრის ცენტრში დაასობს. თან გულიანათ იცინის. ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენ თითქოს შუაზღვაში შევცურეთ, ირგვლივ წყალი გვაკრავს და თვითმფრინავი შემთხვევით რომ ძირს დაეშვას, დაღუპვა არ აგვცდებაო. ვოროშილოვი მხოლოდ ფიქრობს ამაზე და ოხუნჯობს, მას სერიოზულად არც კი სჯერა ხიფათის რეალობა, თორემ, ალბად, ასეთ გუნებაზე არ იქნებოდა...

ხელთ მიჭირავს ბლოკნოტი. არსად თურმე ისე კარგად არ შეიძლება წერა, როგორც თვითმფრინავში, თუ კი ამინდი შესაფერისია. არავითარი რხევა. ჯაგჯაგი, როგორც ეს ხდება ხოლმე მატარებლის რბილ სავარძლიან ვაგონებშიაც კი. თვითმფრინავის სავარძელში ისე თავისუფლად და სწორად სწერთ, როგორც ჩვეულებრივ საწერ-მაგიდაზე...

ჩვენი აპარატი ღრუბლების თეთრ საბანში გაეხვია. რაც წინ მივდივართ, მატულობს ღრუბლების რიცხვი. ისინი უდიდესი სისწრაფით გარბიან თვითმფრინავის ფანჯარასთან. შთაბეჭდილება ისეთია, თითქოს უძლიერესი ქარი ქრის და ღრუბლებს ჩვენს საწინააღმდეგო მიმართულებით მიერეკება. მაგრამ, როცა მიწაზე ჩასჩერებიხარ ამავე ღრუბლების ჩრდილს, ჩრული სიმშვიდეა, ჩრდილი ჩვეულებისამებრ ზლაზვნით მიდის ერთი მიმართულებით. ეხლა გასაგებია, რომ ღრუბლების ეს სწრაფი მოძრაობა მოჩვენებითია. ნამდვილად გარბიან არა ღრუბლები, არამედ—თვითმფრინავი, ღრუბლების ნაფლეთები კი ისე მისდევენ ერთმანეთს, როგორც ტელეგრაფის სვეტები გაქანებულ მატარებლის ფანჯარაში...

მაგრამ ეს საქმეს მაინც არ შველის. რაც წინ მივდივართ, ღრუბლები მით უფრო მატულობენ. უკვე კარგა ხანია გავიარეთ მახაჩ-კალა, მივატოვეთ კასპიის ზღვა და გადაჭრით ავიღეთ კურსი ჩრდილო-დასავლეთით. ზღვა ელვის სისწრაფით გარბის ჩვენგან. რაღაც ხუთიოდე წუთის განმავლობაში ველებისა და წყლის საზღვარი წაიშალა... ჩვენ დაღესტნის ველებით მივქრით როსტოვისაკენ...

მეტად მაღლა მივფრინავთ. ჰორიზონტი არაჩვეულებრივად ფართოვდება. წარმოდგენილი მაქვს რა უმნიშვნელოა მიწაზე მდგომი კაცის მხედველობის რადიუსი. ის ქოლგის ქვეშ დამწყვდეულ წიწილს ჰგავს. ჩვენ კი ისე მაღლა ვართ, რომ თვალი თავისუფლად სწვდება რკ. გზ. ორ სადგურს, ვხედავთ ერთი მეორის საწინააღმდეგო მივე ერთი სადგურისაკენ მიეშურება. ჰაერში ვართ, მაგრამ სადგურის მორიგეზე უკეთესად ვიცით, რომელი მათგანი უფრო ადრე შევა სადგურში.

ცოტა ხნის შემდეგ სიმონ ვოროშილოვმა საუცხოვო საუზმე ამოიღო. მონადირის ძეხვები, ნორჩი კიტრები, შემწვარი წიწილი, ლუდი და სხვ. იშვიათათ გემრიელი და სახელდახელო სუფრა გაიშალა.

საუცხოო რამ არის საუზმე თვითმფრინავში. მტვერი აქ არ გახსოვს და ბუზი. ჩვენც დიდი მადით შევექცევით პურმარილს. ბარგი კი თავისუფლად გვიწყვია თაროებზე. ფვალი არ იღლება წამდაუწუმ იმის ცქერაში, რომ ამ თქვენ სარჩო-საბადებელს ჩუმათ ხელი არავინ წაავლოს და მგზავრობის დროს ყელში დანა გამოვლებული არ დაგტოვოს, როგორც ეს ხშირად რკინის გზის სადგურებზე ხდება ხოლმე. ქურდობისაგან დაზღვევის მხრივ თვითმფრინავზე საიმედო ტრანსპორტი ჯერ არ გაჩენილა.

საერთოდ ჩვენი კაბინა საუცხოვოდ არის მოწყობილი. აქ ყველა პირობებია თავისუფალი და კულტურული მგზავრობისათვის. არის იშვიათად ჰიგიენური საპირფარეშო სარკით, წყალით, პირსახოცით და სხვა მოწყობილობით. ერთი სიტყვით ყველაფერი რიგზეა, რომ საქმეს ამინდი არ აფუჭებდეს, ეხლა ხომ შემოდგომაა და ამინდიც დღეში სამჯერ იცვლება...

პიატიგორსკს გადაუქროლეთ, იმდენად მაღლა მივფრინავთ, რომ სახლები ასანთის კოლოფებივით მოსჩანან ფეხ ქვეშ.

თვითმფრინავმა აიღო მიმართულება მთებისაკენ. ჩვენ არმავირისაკენ მივეშურებით. უკვე მზე გადასულია. რათაც არ უნდა დაგვიჯდეს, დაღამებამდე არმავირის აეროდრომზე უნდა დავჯდეთ. და ჩვენც მივქრით მთელი ძალღონით...

მზე ახლად ჩასული იყო, როდესაც ჩვენ არმავირის აეროდრომზე დავეშვით. შემოდგომის იშვიათი წყნარი საღამო იყო. ცა მოწმენდილია, ვარსკვლავები ციმციმებენ. ხვალ უთუოდ კარგი ამინდი მოგველის. მაგრამ არა, დილამ იმედი გაგვიცრუა. ტიხორეცკაიასა და კუშჩოვკას აეროდრომები იტყობინებიან, რომ სქელი ნისლი დგას და ფრენა შეუძლებელია. ჩვენმა პილოტმა დაბალ-დაბალ, გორდა ჩასკვნილ ბიჭმა პეტია კომაროვმა მოიწყინა. ის ასეთ სიურპრიზს არ მოელოდა. რა უფრო საშიშია ამხ. კომაროვ, ქარიშხალი თუ ნისლი? ვეკითხები დაღვრემილ პილოტს.

„І орчица не слаще хрена“ მიპასუხა მან, ე. ი. რაღა ერთი და რაღა მეორეო.

უფრო კი სახიფათოა ნისლი, დაუმატა მან და თან მოჰყვა ორ მეტად საბედისწერო შემთხვევას თავის ცხოვრებიდან. მფრინავებს საზოგადოთ მეტად უყვართ მათ თავგადასავალზე ლაპარაკი, პეტია კომაროვიც დიდი აღგზნებით აღწერს ერთ მეტად სახიფათო შემთხვევას, რომელმაც ის კინაღამ იმსხვერპლა...

ეს იყო ავღანისტანში, ბაჩე-საკაოს ბანდების მოქმედების დროს. პეტია კომაროვმა დავალება მიიღო გადაფრენილიყო ქაბულში და კავშირი დაემყარებია ჩვენს წარმომადგენლობასთან ავღანისტანში, საჰაერო გზა გინდუკუშის უსაშინელესი უღელტეხილით მიდიოდა. პეტიამ ჩაიჯინა მანქანაში თანაშემწე და გაუსვა ქაბულისაკენ.

უღელტეხილზე მას ნისლი შემოეხვია, იმდენად სქელი ნისლი, რომ ყველაფერი დაიფარა რამოდენიმე ასეული კილომეტრის მანძილზე. თვითმფრინავმა მიმართულება დაჰკარგა, შვიდი საათი გაგიჟებით იფრინა პეტია კომაროვმა გინდუკუშის მთების მწვერვალებზე, ორ-სამჯერ აპარატი ხევშიაც მოხვდა, სიკვდილი პილოტს თვალწინ ედგა, მაგრამ პეტია არ გატყდა, ის გმირულად ებრძოდა სტიქიას, და, როგორც იქნა, იპოვნა მან გზა; მზის სინათლეზე გამოვიდა, თავი სიკვდილისაგან იხსნა და აპარატი დამსხვრევისაგან გადაარჩინა. როცა პეტია კომაროვი მიწაზე დაეშვა, ის გაშეშებული გადმოიღეს პილოტის ძლიერი და ხანგრძლივი ნერვიული დაჭიმულობით.

ამ გმირულ ეპიზოდის შესახებ ბევრ საბჭოთა მფრინავმა იცის. იცის ეს საქართველოს ავიაციის პიონერმა ბესარიონ ქებურიამაც. და როცა ის პეტია კომაროვს შეხვდება, პირველი თხოვნაა: მოჰყევი კომაროვ, გეთაყვა, როგორ იყო, რომ გინდუკუშის ნისლით დაფარულ მთებში უგზო უკვლოთ დაქროლავდიო...

მეორე შემთხვევა, რომელიც პეტია კომაროვს თავს გადახდა ისევ ნისლის გამო, აგერ ეხლა იყო. სწორედ იმ დღეს, როცა დაიღუპენ ჩვენი სამხედრო რევოლიუციონური საბჭოს პასუხისმგებელი პირნი ამხ. ტრიანდაფილოვი და სხვები. ამ დღეს პეტია კომაროვი ხარკოვიდან მოსკოვში მოფრინავდა. ტულიდან დაწყებული გზაზე არაჩვეულებრივი ნისლი დადგა. კომაროვმა იმდენი ეცადა, რომ ნისლში გახვეული მოსკოვი მიაგნო და დიდი წვალების შემდეგ აეროდრომიც იპოვნა, რამდენჯერმე შემოუარა ქალაქს თავზე და, როგორც იყო, უვნებლად დაეშვა მიწაზე.

პეტია კომაროვს ყველა იცნობს, როგორც გმირ და წინდახედულ პილოტს. მას ავანტიურაზე ვერ წაიყვან, მაგრამ ვერც რაიმე სიძნელეებით გამოიყვან წონასწორობიდან. 18 წელიწადია ის ავიაციაში მუშაობს. ჯერ შოფერი იყო, შემდეგ მოტორისტის თანაშემწე, შემდეგ მოტორისტი—ბოლოს ბორტ-მექანიკოსი ე. ი. პილოტის თანაშემწე. 1924 წლიდან კი პეტია უკვე პილოტია. პეტია კომაროვმა გაიარა სამოქალაქო ომის ქარცეცხლი, ის გამობრძმედილი მუშა-ბოლშევიკი მფრინავია.

გქონია თუ არა ავარიები? ვკითხე პეტია კომაროვს. რაც პილოტად ვფრენ მე არ ვიცი რა არის ავარია. სიამაყით მიპასუხა მან. ხოლო, როცა თანაშემწე ვიყავი, ორჯერ აუფეთქდა ჩემს პილოტს მანქანა და ორჯერ ფეხებიც დავიწვი. ამ სიტყვებზე პეტიამ მიიხედ-მოიხედა, გარშემო რომ ვერავინ დაინახა, ჩაიხადა პილოტის ლამაზი, შალის გეტრები და მიჩვენა მარცხენა ფეხი, რომელიც კოჭებიდან თეძომდე დაფარული იყო ჩუტე ლეღვის კანივით დამჭკნარი კანით.

ამ ფეხმა კინაღამ თანვე გადამიტანა, განაგრძო პეტიამ საუბარი იმ კმაყოფილებით, რომელიც სჩვევია ხოლმე ადამიანს, როცა ის იგონებს განვლილ დამარცხებულ ჭირს. რვა თვე ჯალამბერით მათრევდნენ, ლამის ფეხი ბარძაყში არ მომკვეთეს, მაგრამ, როგორც ხედავთ, დღეს სრულიად უვნებელი ვარ. ამ შემთხვევის შემდეგ გადავწყვიტე, სანამ რომელიმე ბრიყვი პილოტის მსხვერპლი გავხდებოდე, თვით გავმხდარიყავი პილოტი. მას შემდეგ თანაშემწეთ აღარ მივლია. დავამთავრე მფრინავთა სკოლა და 7 წელიწადია დამოუკიდებლად ვფრინავ.

ტიხორეცკაიადან ცნობა მოვიდა, ნისლი იფანტებაო. მგზავრები აუხირდნენ პილოტს, წავიდეთ, მიწა თანდათან თბება, ნისლი გზა და გზა გაიფანტებაო.

პეტია კომაროვი ცივ უარზეა. ის სიფთრხილეს იჩენს. ნისლი როსტოვის მიდამოებში არა ნაკლები საშიშია, ვიდრე გინდუკუშის უღელტეხილზე. აქ თუ მხარი გექცა, შესაძლებელია აზოვის ზღვაში შეფრინდე და უკანაც ველარ გამოხვიდე...

კუშჩოვკას აეროდრომმაც დარეკა. ნისლი იქაც იფანტება. მხედველობა უკვე 2 კილომეტრის რადიუსისაა... პეტიამაც დაუჯერა მგზავრებს და მოტორი აამუშავა...

რამდენიმე წუთის შემდეგ ჩვენ უკვე როსტოვისაკენ მივქროლავთ. მეოთხე ახალი მგზავრი შემოგვემატა. ეს არის როსტოვის მუშაკი ვინმე ფ-ი, რომელიც მივლინებიდან ბრუნდება სახლში. კაბინაში, საერთოთ, მხიარული განწყობილებაა. ამხ. ვოროშილოვი ჩვეულებრივ ოხუნჯობს, აშინებს ახალ მგზავრს, რომელიც პირველად ზის თვითმფრინავში, ხიფათის გამომხატველ სხვადასხვა პანტომიმებით.

უკვე როსტოვთან ვართ, რომ გზაზე ნი-

არ შეეშვა. ალბად ნისლი მცირე მანძილზე დგას, გავსჭრით და ისევ გავალთ მოწმენდილზეო. მაგრამ რაც წინ მივდივართ, ნისლი უფრო სქელდება, ჩვენ თანდათან ძირს ვეშვებით, რომ გზა არ დავკარგოთ. რკინის გზას არ ვშორდებით. ისე ახლო მივდევთ ტელეგრაფის ბოძებს, რომ ლამის არის ზედ წამოვედოთ მათ, მაგრამ ნისლიც თითქოს გვეჯიბრება, ისიც სულ დაბლა და დაბლა იწევს.

მაშინ პეტია კომაროვმა დაიწყო ისევ ზევით სვლა. შუა ნისლში შევიჭერით, თვითმფრინავი იმდენად ღრმად შეიჭრა ღრუბლის მორევში, რომ ფანჯარაში სრულიად ალისფერი მოსჩანს. კაბინის მინები თითქოს ცვარცვრით შეიღება, ისე იყო გათეთრებული გარედან მოწოლილი ნისლისაგან.

მგზავრებში განწყობილება შეიცვალა. სახუმარო ამბავი აღარ იწყებოდა. მით უფრო, რომ ოცი წუთი უკვე ვფრენთ ასეთ მდგომარეობაში და ცვლილება არაფერი სჩანს...

პილოტმა ისევ მოუმატა სიმაღლეს. რამდენიმე წუთის განმავლობაში ჩვენ სულ მაღლა და მაღლა მივისწრაფით: დაბოლოს, როგორც იყო, ამოვძვერით ღრუბლების მორევიდან. წინ საუცხოო, ჯერ არნახული სურათი გადაგვეშალა. იშვიათი მზიანი ამინდი, ზევით ლაჟვარდი, მოწმენდილი ცა, ხოლო ქვევით, შორს თეთრი ღრუბლების თვალუწვდენელი ზღვა. ჩვენ ცის მეორე სართულზე ვართ... უდიდეს სიმაღლეზე დავქრით... დაიკარგა წარმოდგენა მიწაზე. მისი ნასახიც კი არსად მოსჩანს. დაბლა ღრუბელთა ველების მეტი არაფერია...

პილოტი ეძებს გამოსავალს. მალიმალ იცვლის მიმართულებას, რომ ღრუბლებს სადმე კიდე უპოვნოს, მაგრამ ამაოთ...

ჩვენ უკვე დავკარგეთ მიმართულება. ეხლა მხოლოდ ერთ მიზანს ვისახავთ, ვიპოვოთ ყელი და ისე გამოვიდეთ ამ ღრუბლებიდან, რომ სადმე ტყეში არ შევიჩეხოთ ან რაიმე მაღალ შენობას—ფაბრიკის მილს არ წამოვედოთ...

შესაძლებელია ჩვენ კიდეც გავიარეთ როსტოვი?!... ზღვაშიაც შევფრინდით?... ყველა ამ კითხვებზე არავის შეუძლია გაგვცეს პასუხი. ყველაფერი მოცულია გაულეველი ღრუბლების საიდუმლოებით..:

ჩვენს ახალ მგზავრს სიმწარის ოფლი ასხამს: რა ქნას, თორემ მზათ არის იტიროს, რა ძვირათ უჯდება მას ეს მოკლე გზა არმავირიდან როსტოვამდე. სიმონ ვოროშილოვმა სახუმრო საბაბი იშოვნა: ის შეშინებულ მგზავრს ამხანაგურად დასცინის და ამით ცდილობს მთელი კაბინა თავდავიწყებას მისცეს...

უკვე ორმოცი წუთი დავფრინავთ გაგუებით ცის ამ მეორე სართულზე... ღრუბლების დასასრული მაინც არსად სჩანს... რა იშვიათი სილამაზეა ჩვენ თვალს წინ, მაგრამ რა საშინელება იმარხება ადამიანისათვის ამ სილამაზეში!

ვინ იცის, რა ბოლმა დუღს პეტია კომაროვის გულში: მას ხომ სალაპარაკოთ არ სცალია, ის აგინებს თავის თავს და მის წინდაუხედავ მგზავრებსაც, რომლებმაც პეტია გააბრიყვეს და ასეთ სახიფათო ამინდში გზას გაუყენეს.

იყო მომენტები, როდესაც მგზავრები ყველაფერს შეურიგდნენ, ელვის სისწრაფით გარბოდა თვალწინ ყოველივე, რაც კი ბავშობიდან გვენახა და განგვეცადა, ყველაფერი ვიგრძენით და გავითვალისწინეთ მიწაზე დანარცხების მოლოდინში...

მე მაინც თვალ წინ მიდგას ჩემი ახალი ნაცნობი პეტია კომაროვი, რომელიც ორიოდე საათის უკან ისე გატაცებით მელაპარაკებოდა თავის ბრძოლაზე ნისლთან და რომელიც ეხლა რულთან ზის.

რომელი უფრო საშიშია, ამხანაგო პეტია, ვკითხე მე, ქარიშხალი თუ ნისლი? გარჩიცა ხრენზე უტკბილესი არაა, მიპასუხა მან და შემდეგ მისი სიტყვით ნისლი მაინც ავიაციის ყველაზე უფრო საშიში მტერი გამოვიდა...

ვის უნდა მოუხმო გაჭირვების დროს, ვინ უნდა გიშველოს ამ თვალუწვდენელ სიმაღლეზე? რას უნდა ჩასჭიდო ხელი, რომ ხიფათს გადარჩე?!... ერთად-ერთი იმედი ისევ პეტია კომაროვია, გამოცდილი, რკინის ნერვებიანი და მუშა-პილოტი პეტია კომაროვი. რა საყვარელია ის ამ წუთში ყველა ჩვენგანისათვის!... გამოგვიყვანს თუ არა ის გაჭირვებისაგან, გამოასწორებს თუ არა ის გამოუცდელ მგზავრების სისულელით ჩადენილ შეცდომას?! ჩვენ გვჯერა, რომ პეტია კომაროვი გამარჯვებული გამოვა ამ ხიფათისაგან. ბოლშევიკი მფრინავი არ მოიხრის ქედს ამ დაულეველ საშინელ ნისლის ზღვის წინაშეც კი.

ამ ფიქრებში რომ ვარ, თვითმფრინავი უცებ მარცხენა ფრთაზე დაეყუდა, მოვტრიალდით მარცხნივ, ასე განვაგრძოთ ტრიალს ბზრიალივით და ძირს ვეშვებით. ალბად, პეტია კომაროვმა ღრუბლებში სადღაც ნაპრალი შენიშნა და მიწას თვალი მოჰკრა და აი უსწორა ნაპრალისაკენ, რომ ღრუბლის ზეწარს ქვევით უვნებლად გაძვრეს...

დავყვინთეთ ღრუბლებში, ორიოდე წუთი და ჩვენ თვალწინ მიწამ გაირბინა. კაბინაში არაჩვეულებრივი ზეიმი შეიქმნა. გადარჩენის ნაპერწკალმა იელვა... ასე ვიფრინეთ კიდევ 5 წუთს და, როცა ნისლი ოდნავ გაიფანტა, გამოირკვა, რომ ღრუბლებს ზევით ხეტიალში ჩვენ უკან დაბრუნებულვართ და ეხლა მეორეთ გვიხდება უკვე განვლილი გზით სვლა.

ამასობაში შუადღემაც მოატანა და ნისლმაც თანდათან იწყო გაფანტვა. სიხარულით აღტაცებულნი, ჩვენ ისევ მივქრივართ როსტოვისაკენ. ამხ. ვოროშილოვი იკლებს მთელ კაბინას თავისი მოლხენით. ის რაღაცას მღერის, რას მღერის არავინ იცის, რადგან არაფერი ისმის. ხოლო თვალებს ისე ნაბავს, და ყელს ისე იგრძელებს, რომ რაღაც საამურს უნდა ამბობდეს.

ჩვენი გათამამებული ახალი მგზავრიც გამოუცნობი გახდა. ის ეხლა ტოლს აღარ უდებს მხიარულობაში ვოროშილოვს...

როსტოვიც მალე გამოჩნდა, ერთი კოხტად შემოუტრიალეთ აეროდრომს და შემდეგ შურდულივით დავეშვით მიწაზე...

დღის სამი საათი იყო როსტოვის აეროდრომზე რომ გადმოვედით. კოლია კომაროვი ოფლში გაწურული, მას სიბრაზისაგან შუბლზე უთამაშებს პილოტის მშვენიერი ტყავის მუზარადი. მგზავრები მას ხელს ართმევენ, ქათინაურებს ეუბნებიან, მაგრამ პეტია ლაპარაკის გუნებაზე არაა.

შემდეგ პეტიამ როსტოვის საჰაერო სადგურის უფროსს აღელვებით უამბო, რა უბედურებაც გადაიტანა. როსტოვში უკვე შეშინებულიყვნენ თვითმფრინავის დაგვიანებით. მაგრამ რა უნდა ექნათ, შველა ასეთ შემთხვევაში არაფრით შეიძლებოდა.

დაღამებამდე კიდევ 3 საათი დარჩა. ეს დრო უნდა გამოვიყენოთ ხარკოვში ჩასასვლელად. შესაძლებელია გზაზე შემოგვაღამდეს კიდეც, მაგრამ დღევანდელ ნისლზე უფრო საშიშარი რა უნდა იყვეს!

დღის სრულ 3 ნახევარ საათზე თვითმფრინავი აფრინდა როსტოვის აეროპორტიდან. პილოტმა ლარივით სწორი მიმართულება აიღო ხარკოვისაკენ. ნახევარი საათის განმავლობაში განვლეთ ყოფილი დონის ოლქი და უკრაინაში გადავფრინდით. დაიწყო დამახასიათებელი უკრაინული კოლორიტი. სათამაშოებივით პატარა, თეთრად შელესილი სახლები, დაწნილი ღობეები, ალვის ხეები, ჭები ცისკენ აწვდილი ჭახრაკებით. ქარის წისქვილები, თეთრი მსხვილი ოთხფეხის ჯოგები.

მალე არტიომოვსკის მიდამოებსაც მივადექით. ეს დონბასის ერთ-ერთი უდიდესი რაიონია. ყოველი მხრით მოსჩანან გიშერივით ბრჭყიალა ნახშირის მთა-პირამიდები. არაჩვეულებრივი მოძრაობაა მატარებლების, ავტოების, ადამიანების და ეტლების. თითქოს არტიომოვსკის სხვადასხვა უბნები ერთმანეთს ეჯიბრებიან მშენებლობაში, ყველგან საუცხოვო ახალი მუშათა სახლები, ყველგან საუკეთესო საზოგა-

მიდამოებიც გაქრა. ჩვენ ეხლა გადავფრინდით ხარკოვის ყოფილ გუბერნიაში. საღამოც უკვე მოახლოვდა. მზე იწურება, მიწაზე უკვე საღამოს ბინდი ჩამოწვა, ის უკანასკნელ სხივებს ესვრის ჩვენს თვითმფრინავს. ლამფები აანთეს, ცა თანდათან იქუშება. კიდევ რამდენიმე წუთიც და უკვე საბოლოოდ დაღამდა: თვითმფრინავის მოტორის მილიდან ცეცხლი, რომელიც დღე არ მოსჩანდა, ეხლა განუწყვეტლივ ნაკადად იფრქვევა და იკარგება ღამის წყვდიადში, ხარკოვამდე ჯერ კიდევ სამოცი კილომეტრი გზაა. ამას ოცი წუთი დრო მაინც უნდა, ამიტომ ჩვენ ვარჩევთ ეს დრო უფრო სასარგებლოდ გამოვიყენოთ. კაბინაში ელექტრონი ავანთეთ, თანვე გვაქვს არმავირის, როსტოვის და მოსკოვის გაზეთები. ვკითხულობთ ყველაფერს, დრო, რომ მოვკლათ და ხარკოვს მალე ჩავიდეთ.

აჰა, შორს რაღაც შუქი გამოჩნდა. ეს უთუოდ ხარკოვის ქალაქის ღამის სინათლის ანარეკლია. რამდენიმე კილომეტრი გავიარეთ და ერთი მეორეზე აციმციმდებიან ჯერ კიდევ შორეული ელექტრონის ლამფები... სამი წუთის განმავლობაში ჩვენ სერგო ორჯონიკიძის სახელობის უდიდეს სატრაქტორო ქარხნის თავზე ვართ.

ცოტა კიდევ და ჩვენ ვიდექით ხარკოვის აეროდრომზე. ჩვენს მისვლას ხარკოველები მოუთმენლად ელოდნენ. წინასწარ მომზადებული იყო ღამის სიგნალები. პეტია კომაროვს დიდი დახმარება არც ესაჭიროებოდა, ფრთებდაწურული შევარდენივით დაეშვა ის მიწისაკენ და აპარატი კოხტად დასკუპდა დანიშნულ ადგილზე..

ჰაეროპორტის ადმინისტრაციამ, როგორც ეს საზოგადოდ ახასიათებს ჩვენი საჰაერო ფლოტის მთელ ტეხნიკურ პერსონალს, დიდი თავაზიანობით მიგვიღო. მგზავრები ავახშმა წინდაწინვე ამ მიზნით მომარაგებული საჭმელით და საუცხოვოთ მოასვენა. ასე დასრულდა ჩვენი დღევანდელი სახიფათო შემთხვევებით აღსავსე მგზავრობა. ხვალ უკანასკნელი გზა დაგვრჩენია, გზა ხარკოვიდან მოსკოვამდე. თვითმფრინავის ფრთებისათვის ეს იგივეა, რაც მატარებლისათვის თბილისი და სტალინირი...

ხარკოვიდან დილა ადრიან გავედით. მზემ პირველად სხივი ჩვენ გვითავაზა, მაგრამ გასვლისთანავე ცაც ღრუბლით მოიკიდა. ყველა ნიშნები იყო, რომ ავდარი იწყებოდა... კაბინაში სიცივემ იმატა. თერმომეტრი, რომელიც თვითმფრინავს ფრთებზე აქვს გაკეთებული, მხოლოდ 4 გრადუს სითბოს გვიჩვენებს, ყველაფრიდან სჩანს, რომ ჩრდილოეთი იწყება. უკვე გაჰქრნენ ფოთლოვანი, ერთმანეთში გადაცმული სამხრეთის ტყეები. წინ სულ ნაძვებისა და არყის ხეები გვეგებება. რა მშვენიერია თეთრბივით ვიწრო ტოტებიანი არყის ხე. რა განსაკუთრებით ლამაზია ეხლა ის, ჩამოსაცვენად მომზადებული ოქროს ფოთლებით, რომ დგას თმაგაშლილ ქალწულივით! რამდენი გრძნობით სავსე ლექსი შეუთხზავს რუს გლეხს არყის ხეზე. რა საპატიო ადგილი აქვს მას მიჩნეული რუსულ პოეზიაში!..

თუმცა ხარკოვიდან მოსკოვამდე საკმაო სწორი გეზით მიდის რკინის გზა, მაგრამ ჩვენთვის ეს მაინც ხელსაყრელი არაა. ჩვენი გზა გაჭიმულ ძაფივით სწორია ამიტომ ვტოვებთ რკინის გზის მაგისტრალს, ვტოვებთ გზატკეცილებს და პირდაპირ ვჭრით ტყეებსა და ღელეებს. ან კი რა გვესაქმება ჩვენ მატარებელთან, როცა მისი ჩვეულებრივი სიჩქარე 40 კილომეტრს უდრის საათში, ჩვენ კი 170 კილომეტრს სრულიად თავისუფლად ზურგს უკან ვიტოვებთ ყოველ საათში. ტყვილად არ არის ნათქვამი: „пеший конному не товарищ"...

ხარკოვიდან ჯერ კიდევ დიდად დაშორებული არ ვიქნებით, რომ მინდორში დავინახეთ მიწაზე დაშვებული თვითმფრინავი. მას გარშემო ცნობისმოყვარე გლეხების გუნდი ეხვია. წარმოიდგინეთ ბარად ჩამოვარდნილი მთის არწივი, ასეთ შთაბე-

აპარატს. ჩვენი ბორტმექანიკოსი შეეკითხა ბაქანზე მდგომ ამხანაგებს, დახმარება ხომ არაფერი გჭირდებათო. გამოირკვა, რომ აპარატი დამუშებულა ძირს მანქანის უბრალო დაზიანებით, რომ მარცხს ადგილი არ ჰქონია, ამიტომ ჩვენ კვლავ ავიღეთ სიმაღლე, გზას დავუბრუნდით და ჩვეულებრივი სისწრაფით გავემგზავრეთ მოსკოვისაკენ.

მალე ორიოლი გავიარეთ, გადავიფრინეთ ტულაზე და სერპუხოვზე... სადაცაა მოსკოვიც გამოჩნდეს, მაგრამ ღრუბლიანი დღეა. მხედველობის რადიუსი მეტად მცირეა და ამიტომ ორი კილომეტრის იქით ვერაფერს ვარჩევთ..

უკვე გახშირდა წმინდა ნაძვნარი ტყეები. ახლის ჯეჯილებიც საამურად გადაჭიმულან უზარმაზარ სივრცეებზე. ჩვენ მთლიან კოლექტივიზაციის რაიონებით მივდივართ. ეს დაულეველი მწვანე მინდვრები — სოციალისტური ყანებია. თითქოს არსად მოსჩანან მოუხვნელად დატოვებული მიწის ნაჭერი. „საწიფულო ხვნას—ბოლშევიკური ტემპები!" აიეთი არის პარტიის ლოზუნგი და მოსკოვის მახლობელი რაიონები ყველაზე პირველ და მტკიცეთ ახორციელებენ ამას...

ღრუბელი მატულობს და იკუპრება, წვიმაც დაიწყო, ნისლი და ხშირი წვიმა. ჩვენი აპარატის ფრთებზე წყალი ნაკადიბად გადმორბის, ზევიდანაც მაგრად გვიშხაპუნებს ავდარი, მაგრამ პროპელერის ხმა ყველაფერს ნთქავს...

უცებ ჩვენს ქვემოთ ორი კილომეტრის მანძილზე რკინის ანძა გამოჩნდა. ეს კომინტერნის რადიოსადგურია. უკვე მოსკოვთან მივსულვართ... ყველას, ყველას, ყველას!.. მუდამ დღე აფრქვევს ის ეთერში ლენინის პარტიის რევოლუციონური ბრძოლის ყიჟინას. ეს ის ანძაა, რომლის ნაპერწკლებიც გულს იმედით უვსებს შორეულ ინდოეთის და აფრიკის ჩაგრულ კაცობრიობას, ეს ის იარაღია, რომელიც ყოველდღე აუწყებს მთელ მსოფლიოს, თუ როგორ იმოსება სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკების დიადი კავშირი ფოლადითა და ბეტონით, როგორი გოლიათური ნაბიჯით მიდის წინ პროლეტარული მთავრობის ხელმძღვანელობით ძველი ხალხთა საპყრობილე — მეფის რუსეთი...

უკვე მოსკოვს დავტრიალებთ თავს, დაბლიდან ყოველ ნაბიჯზე თვალს სჭრის ტრამვაის ელექტრონის ისფერად გაელვარება. აგერ კრასნაია პრესნია, ტვერის ქუჩა, წითელი მოედანი, მოსკოვის დიდი ოპერა, კრემლი, ზამოსკვორეჩიე... მთელი მოსკოვი ხელის გულზეა. მაგრამ არსად არის ქრისტე მაცხოვრის უზარმაზარი ტაძარი, რომელიც ჩვეულებრივად რკინის გზიდანაც კარგად მოსჩანდა, როგორც კი ქალაქ პოდოლსკის გამოსცდებოდი.

სალამი მოსკოვს, ლენინის იდეების უძლეველ ციხე - სიმაგრეს, ახალი მშვენიერი ცხოვრებისათვის პირველ საუკეთესო მებრძოლს, მთელი ქვეყნის პროლეტარიატისა და ჩაგრული გლეხობის იმედს, სალამი შრომის კვამლში გახვეულ „ამოს", „ჩაქუჩს და ნამგალს", „დინამოს", „ტრიოხგორნი მანუფაქტურას", „ბოლშევიკს", [illegible]

# ივ. ყიფიანი

## განახლების აპოლოგია

გადაიფურცლა
ახალ გვერდზე ჩვენი დროება,
გადაიშალა
თვალწარმტაცი, უცხო სურათი.
უმიზნოთ ხომ არ
ჩაგვიარეს მძიმე ბრძოლებმა,
როცა ტყვიები
გოგირდმჟავად გადაგვესხურა.
ჩვენი ფიქრები
მომავლისათვის ზრუნვას უნდება,
გვაწვება სისხლი
გამდნარ თუჯზე უმხურვალესი.
ხვალ ფაბრიკები
მხიარულად აგუგუნდება,
როს აენთება
ტბა ფარვანის, რიონ - ზაჰესი.
მე მაფრთოვანებს
ჩვენი სოფლის გამოფხიზლება,
რადიოს ხმები,
ავტოების ჩქარი გრიალი,
არხების გაჭრა,
უდაბნოთა გარკინისგზება
და დიდ ბრძოლებში
გამარჯვება ადამიანის.
მილიონობით
ამუშავდა ხელი დაზგებზე,
მინდვრად ტრაქტორებს
აჭიხვინებს ჩვენი გლეხობა.
დღ, შეუტიონ
სისასტიკით იმ მამაძაღლებს
ვინც ამ საქმეს
ჯებირივით გადაეღობა.
კოლექტივები,
დამკვრელები, ბრიგადირები
მიაგელვებენ
წითელ გეგმებს
მალე ფინიშთან,
ახალ წლებისაკენ
აღებული პირდაპირობით
ცაზედ იმედი
ვარსკვლავებად ამოგვირისტდა.





სვეტში კარები გაიღო და იქიდან ქრისტე გამოვიდა. ტანზე ფრენჩი აცვია, უძიროს ყელები მუხლებთან თასმით შეუკრავს. ხელში პატარა ჩემოდანი უჭირავს. შეიცხვა სარდიონს... დამალვა უხდა. მაგრამ ქრისტემ შეაჩერა და გულშემატკივრად ჰკითხა:

— რატომ გაქვს ასეთი შეწუხებული სახე?

სარდიონი დარცხვენილია.

— ცოდვილი ვარ, უფალო... რა პირით უნდა გიცქირო!

— ტყუილად შეწუხებულხარ... ნეტა შენსავით ერთგული სხვაც ბევრი მყავდეს.

— ერთგული ვარ.. მაგრამ როგორ წამომცდა, რომ....

— თვალთმაქცი ვარ? რა არის აქ საწყენი! შენც არ მოიკვდე, არაფერი! პირიქით, გამეხარდა ჩემი ხელმარდობა რომ აქე...

ქრისტემ პატარა ჩემოდანი გახსნა. სარდიონს უჩვენა.

— რას ხედავ შიგნით?

— ცარიელია.

იესომ მკლავები დაიკაპიწა, დაჰკეტა ჩემოდანი და მერე ისევ გახსნა. ამოფრინდა იხვი, ქათამი, ინდაური. ჩემოდანის ფსკერიდან ამოსვლას ცდილობდა შავ ფაფარიანი ცხენიც, მაგრამ ვერ ეტეოდა და ბრაზმორეული ქიხვინებდა.

შემდეგ კიდევ ათასგვარი ხელმარდობა უჩვენა ქრისტემ. ცეცხლმოკიდებული ბამბა გადაყლაპა და მის მაგიერ რაღაც წიგნაკი ამოიღო... დახედა სარდიონმა და იცნო... მისი საწევრო წიგნაკია. ულმერთოთა საზოგადოების. გადასცა იესომ წიგნაკი და უთხრა:

— ესეც გქონდეს და მეც მადიდებდე!

კიდევ მრავალი რამ უჩვენა ისეთი, რამაც სარდიონი გაართო და გაახარა. სალამურში ჩაბერა და სალამური ქათამივით აკაკანდა. ხუთი ბურთი ათამაშა და ხუთივეზე ხუთი რახიელი იჯდა მისივე უემური სახით.

ის იყო ნატვრის თვალს აძლევდა, რომ ამ დროს მეეზოვემ დასტვინა. შეშინდა ქრისტე. გაქცევა დააპირა სიჩუქრის მიცემამაც ველარ მოასწრო. სარდიონი სწვდა ხალათში, მაგრამ ქრისტეს მაგიერ ხელში შერჩა თმაწითური მომხსენებელი... ჩახედა სარდიონს სახეში და ბოროტად გადიხარხარა.

— მაშ ასე ყოფილა საქმე?! მოქალაქე სარდიონ! ღმერთსაც გუნდოუკი და ეშმაკსაც?

აირია ყველაფერი. ათასი ხახა ალრიალდა. ათასმა ხმამ მასხრად აიგდო სარდიონი. ყველა თავშეუკავებლად ხარხარებს... ხარხარი გვრიხვათ იქცა... ქარბუქმა ახვეტა იქაურობა... აყმუილდა სარდიონი უდაბნოში მომაკვდავ ნადირივით. აჰა, მასაც აიტაცებს ქარიშხალი... სვეტებს ხელი მოხვია, მაგრამ დნება სვეტები, საცაა წუმწუმას ოდენათ იქცევა.

უეცრად გაეღვიძა. ბურუსიდან დიდხანს ვერ გამოერკვა. მაშ სიზმარი იყო? პირჯვარი გადაისახა.. რახიელი მშვიდათ ხვრინავდა. ქუჩაში ფანჯრის წინ მეეზოვე სტვენდა და ვიღაცას უყვიროდა. ქარი ფანჯრებს ისევ ებრძოდა.

დილით სარდიონ შოშია ჩვეულებრივზე ადრე ადგა. თვალები უძილობისაგან დასიებოდა.

რა გაბროგებდა მთელ ღამეს?—უკმაყოფილო იყო რახიელი.

—ქვეყანა ბროგავს... მერ რომ ერთხელ ლოგინში შევტრიალდე, ამის უფლებაც არ მაქვს??... რას ამიხირდი, დედაკაცო!

გაბრაზებით ჩააქნია ხელი. ფანჯარას ცხელი შუბლით მიეკრა. ნისლიანი დილა სიზმრის გაგრძელებას გავდა. სახურავის მილიდან წვიმა ტირილით წვეთავდა.

სიზმრის გახსენება ეზარებოდა, მაგრამ ველარ მოითმინა და ცოლს უამბო. უამბო და მიხვდა, რომ კარგად მოიქცა. გულზე მოეშვა... მადაც გაეხსნა. შენაყრდა, გაცრეცილი პორტფელი ამოიღლიავა და სამსახურისაკენ გზას გაუდგა.

თითქო ბურანში გახვეული ადიოდა სარდიონ შოშია დაწესებულების კიბეზე, ამავე დროს კი რახიელს, რომელსაც ცუდათ ენიშნა ქმრის სიზმარი, შკაფიდან ხატი გამოიტანა და სთხოვდა სარდიონის უნებლიე შეცდომის პატიებას.

— რა მისი ბრალია, გენაცვალე! სიზმარი კაცის ხელში არ არის,.. სიზმარი ეშმაკისაა!

## ოვანეს ოვანესიანი

# ა რ ტ ა ვ ა ზ დ

მჭედლებო, ურო დაჰკარით გრდემლზე!
დაჰკათ ღონივრად, რომ წყეულ მეფის
ბორკილთა ყულფი უფრო გამაგრდეს!
მჭედლებო, ურო დაჰკარით გრდემლზე!

თალხი ღრუბელი მოდის, მოსცურავს,—
ჰარმაგ არარატს შუბლს შემოევლო...
ღმუის გრიგალი, როგორც ნადირი,
და შმაგი ქარი უსტვენს და გმინავს.

დაჰკარი ურო! ღრმა უფსკრულიდან
ამომტყდარ ავ ქარს ხმა შეუერთე...
მეფის თვალთაგან ელვა გამოჰკრთის
და მაღლა ისვრის რისხვის ნაპერწკლებს.

მეფეს სურს ალსდგეს შურისძიებით
და თავის ტანჯვის სამაგიეროდ
ქვეყნის ოთხ მხარეს ანთხიოს შხამი...
მაგრამ მძიმეა მისი ბორკილი.

სამგლე ძაღლები გაბმით, ერთგულად
ღრღნიან და ღრღნიან მეფის ბორკილებს.
არტავაზდ! ბოლო არ აქვს შენს ტანჯვას;
და ქვეყნის ბოლო შორს არის კიდევ

შენი უძლური მკლავების დარტყმა—
უნდა შევმუსროთ ჩაქუჩის ცემით.
ჯერ არ გაჰყრია ცა ცოდვილ მიწას,
გვწამს ნეტარების ჟამი დადგება.

ო, თუ გავქვავდით... თუ ვერ ჩაგვესმას
ახალი ქვეყნის ხმა ღონიერი;
თუ ვერ დაგვიხსნის ემბაზი წმინდა,
არტავაზდ! და თუ გვიმტყუნებს მკლავი,—

ჩვენ აღარ დავკრავთ ჩაქუჩს მყარ გრდემლზე!

დაე ძაღლებმა აგხსნან ბორკილი,—
ალსდეგ! ქვეყანას კვლავ მოუვლინე:
ულეტა და ხოცვა, ტანჯვა და სნება.

მაგრამ არასდროს! არ ვკარგავთ იმედს!
ჩვენ ახალ ციდან ველით ახალ სხივს,
ჰა, ვხედავთ კიდეც: ახალი ყოფის
თავისუფლების მძლე ცისარტყელას!!

მჭედლებო! უფრო დაჰკარით გრდემლზე!
დაჰკათ ღონივრად, რომ წყეულ მეფის
ბორკილთა ყულფი უფრო გამაგრდეს!
მჭედლებო! ურო დაჰკარით გრდემლზე!

სომხურიდან სთარგმნა
ი. გრიშაშვილმა.



ო. ოვანესიანი

ლეგენდა გადმოგვცემს, რომ მეფე არტავაზდი ჯაჭვით შეკრული მასისის (არარატის) ნაპრალზე იყო მიჯაჭვული. ერთგული ძაღლები ულრღნიდნენ ბორკილს, მაგრამ მჭედლები, წელიწადში ერთხელ, დაჰკრავდნენ ჩაქუჩს გრდემლზედ და ბორკილი ისევ მთელდებოდა. ლეგენდა დასძენს: მეფე მხოლოდ მაშინ აიშვებს თავს და განთავისუფლდება, როცა ქვეყანას დასასრული დაუდგება, რომ კვლავ მოავლინოს ნგრევა და სნება.

ამ ლექსის ავტორს, ოვანეს ოვანესიანს წელს, ოქტომბერში, ორი წელიწადი შეუსრულდა, რაც გარდაიცვალა. ოვანეს ოვანესიანი (1864—1929) სომხეთის ცნობილი პოეტია. მან თავის ლექსებში შეიტანა ხალხური ჰანგი და მისი პოეზია ხალხმაც ორივე ხელით მიიღო. **მთარგ.**

## შ. ჩარკვიანი

# გწადია იყო დამკვრელი ქალი

მე დღეს მოვდივარ შენთან მცინარე,
დღეს სიხარულით მიღელავს ტანი,—
ლაჟვარდობს ყველა: მთა და მცენარე,
მეჯლისობს მთელი აჭარისტანი.

შენ გადმოდგები მოაჯირიდან
და ხედავ: ხარობს გული გლეხების;
ფიქრები ფიქრებს მისდევს ჯირითად
და შენც ტემპების საკითხს ეხები.

გიტაცებს ტალღა აჭარის წყალის:
მისი დინების ელვა და ბროლი,—
გწადიან იყო დამკვრელი ქალი
და მშენებლობის ხარბად გამყოლი.

ჩადრმოხსნილ სახეს მეტად გიხდება
ხილვა: საბჭოთა მიღწევებისა,
ჭოროხის ხიდზედ ღიმილით გვხდება
დამკვრელი მუშა ვეფხა წვივებით.

ჩვენს შორის მაინც მშვიდობა დარჩა:—
ოცნებობ ისევ ქარხნის ხმაურზე;
ჩაიკარ გულში წითელი ფარჩა
საბჭოთ ზეიმის დღესასწაულზედ.

ქობულეთიდან მწვანე კონცხამდე
პონტოსის ღელვის ამტყდარა ომი, —
თერმონთა ყლორტი აშლილა ცამდე
რომ ააყვავოს მხარე ბათომის.

ხასანბეგურის გაქრა ზახილი;
ჩაქვის კაბადონს შრომის ფხა აზის,—
და ხომალდები იალქნებ ახრილი:
მოწმობენ ძმობას: ჭანის და ლაზის.

შედრკა ბორჩხაზედ მტარვალთა ურდო;
გატყდა სიმტკიცე ხორასნის ხმლისა;
ამ მიდამოში ეხლა გახურდა
მწყობრი ნადური კოლექტივისა.

გაიძვრეს ყველამ ტანზე ჩაქურა.
და ალიფაშას დასცხრენ მხედრები.
მაგიერ მღერის: გრდემლი და ქურა
ქარხნის განგაში ქუხილს ედრება.

ხულოს და ქედას ფრთააყრილ ქშენით
უვლის განვლილი მეათე წელი,
ბარცხანის კლდიდან თამარშენამდე
ნავთმა გასტეხა კახაბრის წელი.

უმზერ: შენდება მახუნცეთიდა
დასერავს სივრცეს ელნათის თოვა;
მრწამს არ დარჩება მთებში არც ერთი
და ამ ზეიმზედ სილაღით მოვა.

მე დღეს მოვდივარ შენთან მცინარე,
დღეს სიხარულით მიღელავს ტანი,—
ლაჟვარდობს ყველა: მთა და მცენარე,
მეჯლისობს მთელი აჭარისტანი.

მოთხრობა ს. კლდიაშვილის

# სარდიონ შოშიას ვნებანი

სურათები ლ. გუდიაშვილის

სამსახურის შემდეგ ამღვრეულ ხასიათზე დაბრუნდა. ამ დღეს რიგიანი სადილი ეგულებოდა, მაგრამ არც მადა ჰქონდა და არც ხალისი. ცოლმა ქმრის უხასიათობა შეამჩნია. არიდება არჩია. მიზეზი არ უკითხავს. ჩვეულებრივზე სწრაფად გაშალა სუფრა და დაიწყო რაც შესაჭმელი იყო.

სადილმა მოწყენით ჩაიარა. სწორედ ისე,



გასვენებიდან მშიერ კუჭზე შინ რომ ბრუნდებიან.

როცა სარდიონი ცუდ გუნებაზე იყო, ყოველთვის მიზეზს ეძებდა ასაყვირებლად. ერთი მადიანი აყვირება ახლა რად ღირდა! პატარა, უმნიშვნელო მიზეზი და... მაგრამ ეს მიზეზი რომ არსადაა!

ნასადილევს სარდიონი ტახტზე მიეგდო.

— რახილ!

ცოლი მორჩილად დადგა მის წინ.

— ხმის გაცემას აღარ მიპირებ?

— მამაცხონებულო, როგორ დაგელაპარაკო? თოფის წამალივით ასაფეთქებლად მზად ხარ..

— აბა რა ვქნა, თუ უხასიათოთ ვარ?

— რაღა მაინცდამაინც შინ მოსვლისას უნდა მოიღრუბლო? სამსახურში რომ მხიარულად ბრძანდები?! იქ ისე გიცინის სახე, როგორც სავსე მთვარეს..

— ეგ ნამეტანი მოგივიდა... სად სავსე მთვარე, სად ჩემი ხმელი სახე! ასე იცის ზომას-გადაცილებულმა სიყვარულმა... დაგაბრმავებს, გამოგადურაკებს... ასეა ხომ?

სარდიონ შოშიას გაღიმება უნდოდა, მაგრამ ამის მაგიერ სახე ავზნიანივით დაეღმიჭა.

— შენ ხომ ჭკვიანი ქალი ხარ, უნდა იცოდე: თუ ვჭამთ აქამდე, ეს სწორედ იმის წყალობით, რომ სამსახურში ჩემი სახე არასოდეს მოიღუშება, მოღუშული არავის უნახავს, ყველას უცინის და უღიმის.. დედი შენის შვილი ხარ და მოეჯღანები ვინმეს! მაგრამ შინ... სულ სხვა საქმეა! თუ აღარც ჩემს ოჯახში ვიქნები იმ გუნებაზე და სახეზე, რომელიც ნამდვილად მაქვს, ცოცხლა ობრობაში მივცე გულს შევება?!. ჩემს ნებაზე ვეღარც შინ ამოვისუნთქო?

ზამთრის დღე მალე ჩაიწურა. ფანჯრებში საღამომ შემოიხედა. ტელეგრაფის მავთულებში ქარი ზუის და იხლართება.

სარდიონმა პირი იბრუნა და შალი სახეზე გადაიფარა. ჩვეულებრივად მალე იძინებდა. ამ დღეს ვეღარ ძილი მოახერხა. რამოდენიმეჯერ მხარი იცვალა. წინად, ყურ-ბალიშზე თავს მიდებდა თუ არა, ხვრინვაც ზედ მოაყოლებდა. ახლა, ბალიში იყო თუ სხვა რამე დამნაშავე, თავი უხურდა და ძილი უფრთხობდა.

— რა გატრიალებს, ვაჟო? — გაკვირდა რახილი.

— ქვეყანა ტრიალებს და მე რომ ერთი ორჯერ გადავტრიალდე, რა გასაკვირალია! — დაიღრინა სარდიონმა.

ერთხანს კიდევ იბორგა. შემდეგ გულდაღმა დაწვა. თვალები ჭერს მიაბჯინა.

— რა მატრიალებს რახილო და, ცხოვრება მატრიალებს... მეც იმასთან ვტრიალობ, მაგრამ ბრუ მესხმის ეს ოხერი და მუდრეგი... საცაა გულს ამირევს... ჰო და, სწორედ ამის შიში მაქვს—ეს ჩემი გულის არევა არავინ შეამჩნიოს.. აქ ჩამოჯექ... უფრო ახლოს... ჩემს გასაჭირს შენ მაინც გიამბობ... დღეს, შენ ხარ ჩემი ბატონი, ულმერთოთა საზოგადოების წევრი გავხდი!

— რაო?!

— ვინ ოხერს მინდოდა, მაგრამ ერთხმად დავადგინეთ მოსამსახურეებმა და... ერთი სიტყვით, ჩემი ხუთი შაური, იმის ხუთი შაური, მარტო ჩვენი კანცელარიიდან ორმოცი ხუთი შაური და ახლა, რაღაი გავმდიდრდით, ღმერთს უნდა შევუტიოთ...

— რას ქვია შეუტიო?

— უნდა ვებრძოლოთ.. ხელში ვერ იგდებ და ზარბაზანს ვერ ესვრი... რომც ესროლო, ვერ მიწვდები... დარჩა მხოლოდ ის რომ, „არულ კუდიანებს“ მივაძახოთ.. ა? შემიძლია ეს მე? მე და ღვთის აუგი? მოგსწრებია ასეთი ამბავი: კაცს ღმერთი გწამდეს და იმავე დროს სასიკვდილოდ იმეტებდე?! მართალი რომ თქვას კაცმა, ღმერთის რწმენა ჩემშიაც შეირყა. რას შვება ამდენხანს ის მამაცხონებული? აღარ აპირებს გადარეული ქვეყნის გონზე მოყვანას?

— ადამიანო, რაებს ლაპარაკობ?

— მე კი არ ვლაპარაკობ, გარემოება ლაპარაკობს... მე რა შუაში ვარ! ხედავ ამ პატარა წიგნაკს? ხუთი შაური წაიღეს და მომცეს პასპორტი ჯოჯოხეთისაკენ. გათავდა ჩემი საქმე! პირველი ცოდვა მე და შენ ის ჩავიდინეთ, რომ ხატი ჩამოვხსენით და შკაფში შევინახეთ... თუმცა კვირა-უქმე დღეებში სანთელს ვუნთებთ და ამით ცოტათი უკეთომ ვინანიებდით შეცოდებას, მაგრამ ამის შემდეგ ღმერთი ჩვენ სანთელს მიიკარებს?.. არ მიაგიკვდეს ჩემი თავი!

— საწყეერო ხუთი შაური წაიღეს?

— ხუთი შაური... ვერცხლიც მივეცი და ღმერთიც იმას მივაყოლე.

— დაიცა, ჭკუას გასწავლი... ხომ ხუთი შაური მიეცი? შენც აიღე და ათი შაური მიართვი ხატს... ორმაგათ რომ გადაიხდი, გეპატიება..

— უშველის საქმეს ეგ ქრთამი? ფულს ჯანდაბა, წევრობას რა ვუყო? უბრალო წევრობას ვინ გაჯერდება? დღეს ულმერთოთა კლუბში უნდა წავიდე მოხსენების მოსასმენათ... ა? რას იტყვი? წავალ—ღმერთის მეშინია, არ წავალ და—ხალხის.. გინახავს ასეთი ცოდვის კითხვა?

— ღმერთი უფრო საშიშია, სარდიონ!

— იყო, ბატონო, წინად იყო. ახლა უკეთმაა ყველაფერი. ნამდვილია რომ ამბობენ: არაა ღმერთიო...

რახილმა შიშით ჩახედა თვალებში.



... ზის ოქროს ტახტზე მიქელ-გაბრიელი თუ პეტრე მოციქული...

— როგორ ლაპარაკობ დღეს, ადამიანო?!

— როგორთ და, გულადუღებული... მე ჩემი გასაჭირი მყოფნიდა. ჯოჯოხეთში რაღათ მიკრეს თავი? მომკლა და ერთი ის გამაგებია: მართლა არის თუ არა ღმერთი!

გავიხედე, ბატონო ჩემო და, ნამდვილად არსებობს.. რაღა ვქნა მაშინ? ხომ მომთხოვა ზეცამ ანგარიში? ზის ოქროს ტახტზე მიქელ-გაბრიელი, თუ პეტრე მოციქული და ფურცლავს დიდ დავთარს... შენი გვარი? -სარდიონ შოშია, უფალო!.. სარდიონ შოშია.. მმ!.. გადაშალა, იპოვა... პროფკავშირის წევრი იყავი? —ვცოდე უფალო.., ანარიცხებს ვიხდიდი, მეტი არაფერი დამიშავებია! დემონსტრაციებზე დადიოდი? — ერთი-ორჯერ გავბრიყვდი.. პირით ვაშას ვიძახოდი, გულში კი ვიგინებოდი!.. უცბად ისე შემომხედა, რომ თვალებით ელვა დაკვესა... — სარდიონ შოშია! სცნობ თუ არა იმას, რომ ულმერთოთა საზოგადოების წევრი იყავი?... რახილო, რა პასუხი გავცე ამაზე? მიპატიებ შენ? ვერ მიპატიებ! ხომ ვერა? რას დადუმდი, ქალბატონო?



კლუბისაკენ მიმავალ სარდიონს სახეში ზამთრის წვიმა ურტყამდა. კოჭებამდე დაშვებულ პალტოში შეფუთნული ჩქარა მიაბიჯებდა..

კლუბში სითბო იყო. მრავალი ნაცნობი. სარდიონი ყველას მიეხალისა... ხმაური შეწყდა, როცა მომხსენებელი გამოჩნდა. ეს იყო ახალგაზრდა წითური მამაკაცი. ხმა ჰქონდა სამრეკლოს ზარივით.

წითურმა მამაკაცმა დიდხანს ილაპარაკა სარწმუნოების მავნებლობაზე. ხშირად ახსენებდა ქრისტეს, მაჰმადს, ბუდას, რომის პაპს, ინკვიზიციას, ჩვენებურ ბლაღოჩინებს.

როცა მოხსენების შემდეგ სარდიონი კლუბიდან შინ ბრუნდებოდა, ერთხანაზე ნაცნობი თანამოსამსახურე გამოჰყვა.

— ხომ მოსაწონი მოხსენება იყო? — კითხა ნაცნობმა.

— ჩინებული! — დაუდასტურა სარდიონმა — რაც სთქვა, ყველაფერი სიმართლეა. სარწმუნოება ოპიუმია ხალხისათვის, ნამდვილია! ქრისტე, ჩემი ღრმა რწმენით, ფოკუსნიკი იყო.. ატყუებდა ამით ხალხს და...

ქარმა წაართვა ბოლო სიტყვები. დაღებულ ხახაში შეუბერა, სუნთქვა შეუკრა, მეტი აღარ ათქმევინა.

— „ქრისტე ფოკუსნიკი იყო“... — მოაგონდა თავისი სიტყვები და გააჟრჟოლა.

შეშინებულმა ნაბიჯს უჩქარა. ქარი სახეში ურტყამდა და ქარს არ გრძნობდა. სუსხი ცხვირის წვეტს უმწარებდა და ცხვირს არ გრძნობდა. ბრაზი დუღდა გულში და გულს აღარ გრძნობდა.

რახილს ეძინა, როცა ოთახში შევიდა. ცოლმა ქმრის მოსვლა გაიგო, ნახევრად მძინარემ რაღაც ჰკითხა, მაგრამ სარდიონს არ გაუგონია. გაიხადა და ცოლს გვერდით დაუწვა. ლოგინის სითბომ მწუხარება წუთით გადაავიწყა. გაციებული თითები ცოლის თბილ ფეხებზე მოითბო.. როგორც კი გათბა სხეული, სულის ქეჯნა ისევ დაიწყო.

მეზობელ მდგმურის ოთახში საათმა ორი დარეკა. ცოტა ხნით მიძინებულ სარდიონს სწორედ ამ დროს გაეღვიძა. გვერდით ცოლი ხვრინავდა. ქუჩაში კი ქარი ზუოდა. ქარი ფანჯრებს ეხეთქებოდა. ფანჯრის წინ ქუჩაში დაკიდებულ ელექტრონის სანათურს ქარი არხევდა. ელექტრონის შუქი ოთახის კედელზე გაურკვევ ლანდებს ათამაშებდა. ნამძინარევზე სარდიონს ეჩვენა, რომ ოთახი ირწეოდა. ლანდები ხანდახან კლუბსაც გავდა, ულმერთოების კრებასაც, თმაწითურ მომხსენებელსაც... სად ჰქონდა იმ ოჯახდასაქცევს ამდენი სიტყვის მარაგი! საზოგადოების წევრობა—ეს კიდევ არაფერი. არც კრებაზე წასვლა მაინცდამაინც დიდი ცოდვაა.. მაგრამ ქრისტეს რას ერჩოდა? როგორ წამოსცდა, როგორ გაბედა იმისი თქმა, რომ ფოკუსნიკი იყო!

ამის მოგონებაზე სარდიონს ჟრჟოლმა დაუარა. შეზარდა საწოლი, მერე ცოლი, ბოლოს თავისი თავი. მუხლის თავთან საბანში ცივი ჰაერი იპარებოდა. მუხლის თავს მუჭი მიარტყა.

— რა გაბრუნებს, ვაჟო? — გაეღვიძა რახილს.

სარდიონმა ხმა არ გასცა. ჩარგო თავი საბანში. გაისუსა.

ქარი ებრძოდა დიდ ბოძებს და უნდოდა მავთულები დაეწყვიტა. ხანგამოშვებით მოსცილდებოდა ქუჩას და სადღაც შორიდან ზუოდა. ქარის ხმაში წითური მომხსენებლის სიტყვები ისმოდა... „სარწმუნოება ხალხის გონებას აბნევს“... ფანჯრის ერთ გატეხილ მინას ქაღალდი აქვს აწებებული... რას ებრძვის ქარი ამ ქაღალდს?!. „არც ერთი ისტორიულ საბუთიდან არ სჩანს, რომ ქრისტე იცხოვრა“... ქარი თითქო კლებულობს ან ამდენხანს რა აბორგებდა!... მეეზოვეს ნაბიჯები ქვაფენილზე თანდათან ნაზი ხდება... ალბად ეცოდება მდგმური, არ უნდა ძილი დაუფრთხოს... წითურ მომხსენებელსაც თანდათან ეხლიჩება ხმა... „ქრისტე ფოკუსნიკი იყო“.., ქარი სადღაც შორს ზმუის... აღარ ისმის ცოლის ხვრინი.. აღარც საათი დადის მეზობლის ოთახში.. სად გაქრა ცოლი? საკვირველია! თუმცა რა არის აქ გასაკვირალი? ცოლს ოთახში სძინავს, აქ კი დარბაზია უზარმაზარი. სიგრძეს თვალი ვერ სწვდება. ერთსადაიმავე დროს დარბაზიც არის და მინდორიც. იონჯით ამწვანებული მინდორი. შუა მინდორში უმაღლესი სვეტებია ამართული. სვეტები მარმარილოსია და ზედ უცნაური ხილი მწიფდება. ყველაფერი თვალს ახარებს, მეეზოვე რომ არ აფუჭებდეს ამ სურათს... რა უნდა თავის კომბალით რომ სეირნობს და წარამარა უსტვენს?! გარშემო ურიცხვი ხალხია, ყველა ნაცნობი და მაინც უცნობი. უფრო საკვირველი ისაა, რომ სარდიონი მეორე სარდიონს ხედავს. ორივეული ეცინის და შანსუგებს... „ვითომ შენც კაცი ხარ! ღვთის გლახა... მეტი არაფერი!“.. უცბად ძლიერმა ქარიშხალმა გადაიარა. იონჯა მტვერად იქცა. როცა მტვერი გადავიდა, მარმარილოს



...იესომ მკლავები დაიკაპიწა, გახსნა ყუთი და ამოფრინდა იხვი, ქათამი, ინდაური...

# არშინებიდან დაზგებისაკენ

ებრაელთა მოსახლეობას საქართველოში აქვს თავისი ისტორია.

ეს ისტორია საუკუნეების არქივში იყო ჩამწყვდეული.

საბჭოთა ხელისუფლებამ გამოამზეურა ეს ისტორია.

ხოლო ისინი ვისაც წინედ ხელთ ეპყრათ ამ ისტორიის გასაღები, გაშმაგებით იბრძოდენ, რომ ებრაელთა ქუჩის ზედაპირზე არ მომხდარიყო რაიმე ცვლილება.

ებრაელთა ქუჩა ერთფეროვნად ტკეპნიდა თავის არსებობას და შეუპოვრად არ სურდა ესმინა ეპოქის მაჯისცემა.

ებრაელებს საქართველოში ეძახდენ ვაჭრებს და მართლაც რითი არ ვაჭრობდა ეს ხალხი?

ერთეული ბობოლები — მანუფაქტურით და ფქვილით.

ათეული საშუალოები — საწვრილმანოთი და ნაწილობრივ მანუფაქტურითაც, ხოლო ასეული და ათასები კი ჰყიდდენ შპილკებს, სავარცხლებს, ზიდავდენ მხრებზე ცივ წყალს და სწმენდდენ ჩასუქებულთა ფეხსაცმელებს.

ყველა ამათ აერთიანებდათ — არშინის იდეოლოგია.

არშინი იყო მათი კულტი. არშინი იყო მათი წარსული და აწმყო.

მაგრამ რევოლიუციამ დაჰკრა არშინს და ულმობელად გაანადგურა მათი ეკონომიური საფუძველი.

რევოლიუციამ მთელი თავისი სისასტიკით დააყენა ქართველ ებრაელთა მასები — ახალი პრობლემის წინაშე.

დაისახა ახალი გზები, ახალი მიზნები სოციალისტური ეპოქის მოთხოვნილებათა მიხედვით. დაიწყო ნამდვილი რეკონსტრუქცია ებრაელთა ყოფისა, რომელიც მიიმართება ორი გზით: წარმოებებში ჩაბმით და მიწის მეურნეობაზე გადასვლით.

ამ პატარა წერილში ჩვენ ვეხებით მხოლოდ წარმოებებში ჩაბმას, რომელ საქმესაც მეთაურობს და ხელმძღვანელობს საქართველოს ღარებკომი.

ღარებკომი — ეს არის ღარიბ ებრაელთა დამხმარე კომიტეტი, რომელსაც აქვს 2-3 წლის ისტორია.

თავისი არსებობა მან დაიწყო მეტისმეტად ძნელ პირობებში:

ძველი, ჟანგიანი თავების რეკონსტრუქცია ასე ადვილი საქმე არ იყო.

დღეს კი სულ სხვა სურათია.

როგორც ტფილისში, აგრეთვე პროვინციაში ღარებკომის ავტორიტეტი ძლიერია.

საქართველოში არ არის თითქმის არც ერთი წერტი, სადაც მოიპოვებოდეს ებრაელთა მოსახლეობა, რომ იქ არ იყოს გახსნილი ღარებკომის განყოფილება.



ტფილისი, ქუთაისი, ახალციხე, ცხინვალი, საჩხერე, ლაილაში, კულაში, ონი, ფოთი, სუჯუნა, ბანძა, სურამი, ქარელი და სხვ.

მაგრამ აქ არ არის მარტო აპარატი.

აქ არის ფაბრიკები, ქარხნები, საწარმოო არტელები, დაზგები.

ათასობით ებრაელები, ქალები და კაცები — ღარებკომის წყალობით დღეს გადასული არიან შრომის რელსებზე.

დეკლასიურმა და გალატაკების გზაზე შემდგარმა ებრაელობამ — პირი იბრუნა სასარგებლო შრომისაკენ. ამგვარად ისინი უერთდებიან სოციალიზმის მშენებელ პროლეტარულ მასებს.

ებრაელთა ქუჩები და უბნები და ხშირად სხვა რაიონებიც მოფენილია ღარებკომის წარმოებებით.

წარმოებები სულ სხვა და სხვა გვარია:

სამკერვალო, მემინეთა, სახარაზო, მეჩექმეთა, საკანფეტო, ჩაის გასარჩევი, ქიმიური, საჩემოდნო, საშაქარლამო, საჯაგრე, სატრიკოტაჟო და მრავალი კიდევ სხვა.

პარალელურად ღარებკომი აწარმოებს აგრეთვე დიდ კულტურულ მუშაობას. მათ წარმოებებთან დაარსებულია კლუბები, სამკითხველოები და დრამატიული წრეები.

ახალგაზრდობა იზრდება ახალ ეპოქის სულით.

მუშაობა მიმდინარეობს სოცშეჯიბრის და დამკვრელობის ნიშნისქვეშ.

ლაპარაკობენ დაზგები.

იცვლება ყოფა. იცვლება ქართველ ებრაელთა ძველი სახე.

**გერცელ ბააზოვი, ბესარიონ ჟღენტი.**



ეროვნული ბიბლიოთეკა

## ჯანმაგარ კაცებს

გვფარავს ჩრდილებად კლდე გადმოხრილი,
ჩამორღვეული მთის გული ბორგავს;
დგას და მიყურებს გამხმარ ჩონჩხივით
გამოშიგნული, გულშავი გორა.

—:—

დაყუდებული კლდეების ურდო
შეტორტმანდება ცაში შუბებად.
კლდე შევარდნის და ქორის საბუდო
ქარხნების ბოლში გაიგუდება...

—:—

თითქო გულმკერდი გადმოალაგეს,
გადუვლი ბეგებს ძარღვებ გამოცლილს
და მიხარია მთა რომ ალაგმეს
აქ ვერვინ ნახავს ზარმაცს და მოცლილს.
უკუნს აპობენ ელვის თვალები,
ღამე დამწვარა მზიან გორებზე,
ძმად შეფიცული ბრიგადელები
ვაგონს ბურთივით მიაგორებენ!

—:—

ირგვლივ გორებად მადანი ყრია,
თითქო ყორნები გამოეფინენ;
და მნგრეველები მიწის სიღრმიდან
გოლიათურად აპობენ ბინდებს!

—:—

დაბლით მადანს და ბარაქას ითხოვს
ხევი შეხუთულ სისხლის მორევით,
და ტარიელის მათრახის სისხო
მავთულებს ხრიან რკინის ქორები!

—:—

დგანან გორები მზიანი ეგზომ,
მოგონებებით ნაამბორები:—
—ყურს დავადებდი ჩანგრეულ ეზოს,
და გუგუნებდენ მაღაროები...
როცა ჯერ კიდევ ძარღვში ამბოხად
სისხლის ჩქერები არ ჩამორბოდენ —
ნადირს დავდევდით ტყიდან გადმომხტარს,
და ვაყენებდით ფეხზე ოროლობს!..

—:—

თითქო ხელებზე ეხლაც მაქვს თბილად
სისხლი,—ეზოში მოკლულ ოფოფის;
რა სიხარულით ვწმინდავდი „ფილთას";
რა სიხარულით მინდვრად დავრბოდი!..

—:—

და დავყვებოდით ნახირს ტყეველად
ტოლი ბიჭები განმარტოებით—
ეხლა მთეპში, რომ დგანან მნგრეველად,
და გამგორებლად მაღაროებში!

—:—

ხრამი დაარხევს მოხეთქილ ეხოს,
კლდე დაასვენებს ღვარდების შრიალს—
ბრგე ვაჟკაცები სიღრმეებს ჩეხავთ
და ლონეს ატანთ ქანებს გიშრიანს!...

—:—

ნაპრალებიდან მზე გადაქანდა,
რუხი ლოდები ჩრდილებს დარგავენ—
ბინდებს ძახილი არბევს ბაქანთა,
და ღამე დაცლის ხევში მარგანეცს!

—:—

ჩაკირულ მადანს სამტროდ უვლიან;
ვინ გამოდგება ბნელში პელადად?!—
გულ-რაინდები კორბოულიდან,
ბუმბერაზებო დიდ წიფელადან!!
აიშლებიან ქარში ნარხევი
მარები—მტვერში გადაკეცილი—
ამოაქვთ ღამე ჯანყიან მხრებით
ჯანმაგარ კაცებს მარგანეცივით!!...

**გრ. აბაშიძე.**

## ინდუსტრია

(ნაწყვეტი ლექსიდან: „პატაკი ოქტომბერს)

ბრუნავს ბორბალი, ინდუსტრიის ძამე ბორბალი,
ვინ ჩაიკეტავს საკუთარ თავს მდუმარეთ სახლში,—
მოგვაქვს საბჭოთა მინდვრებიდან წმინდა ხორბალი,
მაღაროები ლავასავით ისვრიან ნახშირს!..

—:—

მაღაროები დონბასიდან ნახშირს ისვრიან...
ისვრიან ნახშირს ტყიბულიდან: ხელები რკინის,—
შრომის ხმაურში ალტაცების გამოისმის ხმა,
და ნებისყოფა ცვირაბებში გუგუნებს, ჰკივის!..

—:—

მიდის მადანი ქარხნებისკენ ულევ მარაგათ,
ხურდება ცეცხლის ელვარებით რკინის ლუმელი,—
სივრცე მილიდან ავარდნილმა კვამლმა გალაქა
და თავისუფლად მოთარეშე ქარებს ლუნავენ!..

—:—

მაღაროებშიც ტემპებია ფართოთ გაშლილი...
ყოველი მუშა ხუთწლიანი გეგმის გმირია,—
ციფრით ხმაურობს რონოდებზე ხრეში ნახშირის
და საყვირებიც შეტევას და ბრძოლას ჰყვირიან!..

—:—

როგორც ნახშირით, ისე რკინით, ისე ფოლადით
ეპოქის მხრებზე გრიალებენ — დიდი ქარხნები,—
უნედლეულოდ მტარვალებს ხომ—ვერ ჩავქოლავდით.
და ცხოვრებისთვის გარდატეხას ვერ მოვახდენდით!?.

—:—

ურალის მთებო!—გადაგადნობთ ცეცხლის ხანძარით
ცხელი ლითონი მოგვაწოდეთ,—ვჭედავთ ტრაქტორებს,
მთელი გლობუსი მოვაბრუნეთ,—ჩვენსკენ დავსძარით,
და სირბილის დროს გადავთელეთ, ფეხით გავტორეთ!..

—:—

ბაქომ დაიწყო ბოლშევიკურ ტემპის აღება,
მეორე ხუთწლედს განგაშებენ ნავთის მილები,—
მალე შირაქის მწვანე ველიც დაიდაღება
და ნავთს გააჩენს შადრევნებათ ცხვრის ადგილები!..

—:—

მყინვარი მოტყდა,—ანდეზიტი ჩამოაქვს ნალმებს,
კასპი იძლევა—შვიდას ოთხმოც ათას კასრ—ცემენტს,—
ხუთწლედის გეგმას — ოთხ წელიწადს ჩვენ გავანაღდებთ
და მებრძოლები ოქტომბრის ხმას ღიმს გადასცემენ!..

—:—

ქალაქებისკენ! ანდეზიტის ქვის აგურებო!
მეთოთხმეტე წელს გუგუნებდეს ბორბლის ქარები,—
— ნუ შეჩერდებით ინდუსტრიის მტკიცე გულებო!
სოციალიზმის ტემპი მიდის მძლავრ გაქანებით..

**შალვა შაველაშვილი.**

## მთავარი თემა

(ვუძ. რაისაბჭოს წევრებს).

ამ თემას მიტომ ვედები,
ამ თემას მიტომ ვმღერი და, —
ბევრი რამ გასაკეთები
თქვენ გერგოთ ამიერიდან.
იბრძოდეს თქვენი გულები, —
სულშიდაც რკინა ჩაისხით: —
შრომაში დარაზმულები,
რომ შეხვდეთ საქმეს ხალისით.
მტრის თვალებს შემოაცვითეთ
წელზე გაკრული ფარაჯა, —
ახალ ცხოვრებას, რომ მტკიცეთ
დაუდგეთ ყველგან დარაჯათ..
სიბნელე უნდა გაირღვეს,
უნდა გაძევდეს მძრომელი
მთავარი თემა აი დღეს,
ამას მოითხოვს მშრომელი.

**გრიგოლ ტაბატაძე.**

## აჭარელი გლეხის ნაამბობი

ის იწყებს ასე:—„სიბნელე, სევდა,
და მუდამ ყოფნა სიმწუხარეში,—
ეს ყოველივე ლანდივით გვდევდა
ალა-ბეგების ჩვენზე თარეშით.

—:—

— დღეს კი სხვა არის; მოკვდა წარსული
და არასოდეს არ დაბრუნდება,—
დღეს სიხარულით სავსე გვაქვს გული
დღეს თვალზედ ცრემლი აღარ გვადგება.
მიწა ჩვენია, ნაშრომიც ჩვენი,
და ჩვენც ვმუშაობთ როგორც რიგია,
ჩვენვე გვახარებს ჩვენი საქმენი,
რადგან აღარ გვყავს ალა, ბეგია.
კოლექტივში ვართ ჩვენ წევრად ყველა,
კოლექტივები ყვავის, იზრდება,—
და რად ღირს იგი, როდესაც ველად
რკინის ტრაქტორი აგუგუნდება.

—:—

სოფელი დადგა დღეს ახალ გზაზე,
მოდის წიგნები, მოდის გაზეთი,
40 წელი ვარ ქვეყანაზე
და არ მინახავს დრო, ასეთი.
მე თბილისში მყავს ჩემი ჯემალი,
მთავრობის ხარჯზე სწავლობს, იზრდება,
წიგნები არის მისი წამალი
და სახლკარიც კი არ აგონდება.
მეც კი ვისწავლე წერა-კითხვა და
სოფლის საბჭოსი ვარ თავმჯდომარე,
სიბნელე ჩემში გაქრა, წავიდა

## საბჭოთა პლანტაციები

დილამ მტრედისფრად შემოგვანათა
სოფლის ბრიგადა მიდის და მღერის,
ჩვენ თავზე ვიდეთ შრომა ცვალათა,
დავძლიოთ მალე მავნე და მტერი.

ყველა ერთპირად მწკრივათ მივდევდით—
მიწაზე გაკრულ კანაფის ლარებს.
შორს გვიღიმოდა მწვანე მინდვრები
გვახალისებდა მშრომელთა ჯარებს.

ერთი პალოთი მიწას პირს ულებს,
მეორე ნერგს რგავს და მიწას აყრის,

აგრო-ტეხნიკი ნაჭალარ ყამირს
წინ მიგვიძღოდა, როგორც სარდალი,
ჩვენც შევესიეთ იორის ნაპირს—
ენტუზიაზმით კაცი და ქალი.
ოცი ჰექტარი თვალწინ გაშლილა—
საბჭოთა თუთის პლანტაციები,
და შაბათობის ნათელი დილა
გვმოსავდა ოქროს მზისა სხივებით.
სად წინად კოლო, ჭაობი იყო,—
გველებით სავსე აყრილი ჭალა,—
თითქო გრიგალმა ქარმა წაიღო—

# „გაფიცულის სიკვდილი“

მოთხრობა **ჩარლზ იალ ჰარრისონის**

> ეს მოთხრობა ამოღებულია თანამედროვე ამერიკელი პროლეტარული მწერლის ჩარლზ იალ ჰარრისონის რომანიდან. ჰარრისონი ეკუთვნის ამერიკის პროლეტარული ლიტერატურის უახლეს თაობას. მან გაითქვა სახელი ნიჭიერად და თამამად დაწერილი წიგნით: „გენერლები საწოლში კვდებიან“. წინამდებარე ნაწყვეტი გამოხატავს ერთი მხრით ამერიკის მრავალრიცხოვან პროლეტარიატის ნაკლებად შეგნებულ და თავისი უფლებებისათვის მყვლეფავ კაპიტალიზმის წინააღმდეგ სტიქიურად მებრძოლ დოკერებს, მეორეს მხრივ—პროფკავშირების მოღალატე ბელადებს.

ამ ზაფხულს ფასები სანოვაგეზე სულ მაღლა და მაღლა იწევდენ. გემთსაშენის პატრონები გადაჭრით უარს აცხადებდენ ჯამაგირის მომატებაზე. სამუშაოს გათავების შემდეგ, გაბრაზებული, აღელვებული მამაკაცები იკრიბებოდენ და დაბალი, უკმაყოფილო ხმით ლაპარაკობდენ მცირე ხელფასზე, გაჭირვებულ ცხოვრებაზე, ლაპარაკობდენ იმაზე, თუ რითი უნდა ერჩინათ თავი, იმაზე, რომ საჭიროა კრებების მოწყობა, სიტყვების თქმა, კომიტეტების არჩევა და...

რედ-ჰუკი—მთლიანად მუშებით დასახლებული—დუღდა. გაფიცვის სუნი ჰაერში ტრიალებდა. პატარა ბიჭები, მუშების შვილები, თავხედურად ბღაჯნიდენ ქარხნის კედლებზე სხვადასხვა—მექარხნეებისათვის შეურაცხმყოფელ სიტყვებს, თავისებურ ლოზუნგებს.

„ლონგშირის მუშათა ინტერნაციონალური კავშირის“ შტაბში, ადგილობრივი კომიტეტის მდივანი, დოილი, ოფლში იწურებოდა, უხსნიდა კომიტეტის წევრებს, რომ ინტერნაციონალის ბიუროს ნებადაურთველად გაფიცვისათვის კენჭის ყრა შეუძლებელია და რომ სამუშაოც, მართალია, არც ისე ხელსაყრელია, როგორც ომის წლებში იყო, მაგრამ...

მდგომარეობა უფრო უარესდებოდა. ხშირად დოკერს ჯიბეში ერთი ცენტიც აღარ ედო; ფასები პურზე, რძეზე და ხორცზე კი დღითი-დღე მატულობდენ და რაღაცა მანქანებით მთელი კვირის ნაოფლარი პარასკევისათვის უგზოუკვლოდ ქრებოდა ხოლმე.

ადგილობრივი გაზეთების რეპორტიორებმა კავშირის შტაბი დაყნოსეს.

— „რა არის თქვენთან ახალი!“.

— „გაიფიცება თუ არა თქვენი კავშირი, მისტერ დოილ?“

აღელვებულმა დოილმა მოიწურა ოფლი შუბლიდან, გადაილოკა ტუჩები და ჩახლეჩილი ხმით განაცხადა:

— „თქვენ შეგიძლიათ დასწეროთ, შემდეგი: მაიკლ დოილი, ინტერნაციონალური კავშირის 34-ტე ადგილკომის მდივანი ამბობს, რომ ის მზად არის მოაგვაროს საქმე წარმოების პატრონებთან, რომ ის წინააღმდეგია ყოველგვარი უხეში ძალდატანებისა... გესმით?—გადმოკაკლა მან თვალები და მერე, ცოტათი დაწყნარებულმა, განაგრძო:—ჩემმა ბიჭებმა იციან, რომ მე ყველაფერი რიგზე მაქვს, რომ მე მსურს ავაცილო დოკებს უსიამოვნება და შფოთვა, თუ, რასაკვირველია, ბატონები ჩვენს განცხადებას ანგარიშს გაუწევენ... დანარჩენს ჩვენს თავზე ვიღებთ“.

ადგილკომის კრებაზე წევრებს ძალიან მოუსვენრად ეჭირათ თავი. აქა-იქ, მუშებს შორის, უცხო სახეებიც მოსჩანდენ, სუფთა, ახალ შლაპებში.

აღელვებულმა და გაწითლებულმა დოილმა დაიკავა თავისი ადგილი ტრიბუნაზე. მის მარჯვნივ კავშირის თავმჯდომარე ჩამოჯდა მაღალ საყელოში კისერ ვაშეშებული, აბუჩქული თმებით და კალთაზე დაწყობილი ხელებით. მან დიდი მწუხარებითა და სინანულით განაცხადა:

— კომისიის გადაწყვეტილება ალბად ვერ გაამართლებს „ძმების“ იმედებს, მაგრამ მეტი გზა არაა, ამ ხანად, ამ ნაწილობრივი გაუმჯობესებითაც უნდა დავკმაყოფილდეთ, რადგან, ნათქვამია, ნახევარი პური სჯობია სულ უპურობასო. დიდი უჭკუობა იქნებოდა იმ ზოგიერთი ფიცხების აყოლა, რომლებიც ვაფიცვისაკენ მოუწოდებენ ამხანაგებს. გაფიცვა ძალიან ცოტას მოგვცემს, თუ მოგვცემს საერთოდ რამეს. ძალიან ცოტა ეს... ტოს მუშაობა. მეტი არაფერი. მაგრამ, მთელი პასუხისმგებლობა, კავშირის ბელადებს დააწვებათ თავზე. ამიტომ არის, რომ ისინი ცდილობენ ისეთი გზის გამონახვას, რომელიც რამდენადმე მაინც გააუმჯობესებდა მდგომარეობას. ამაშია მთელი სიძნელე... საათში ხუთი ცენტი, კვირაში 2 დოლარის და 40 ცენტის მომატებას შეადგენს, ეს კი იმას ნიშნავს, რომ წელიწადში თითო მუშა ასი დოლარით მეტს მიიღებს, ვიდრე იღებდა; ეს ცოტა არ არის. რატომ არ უნდათ ბიჭებს ამაზე დათანხმება?“...

მერე სხვებმა ილაპარაკის.

— ერთი შეხედეთ ჩვენს ბელადებს რა სამოთხეს გვთავაზობენ ეს მშვიდობისმოყვარულები!—გესლიანად ამბობდენ მუშების წარმომადგენლები...

სიტყვა სიტყვას მოსდევდა, ორატორი ორატორს. თავის წარმომადგენლებს მუშები ყურადღებით და გამამხნევებელი გამომეტყველებით უსმენდნენ.

ყველაზე ბოლოს ახალგაზრდა ქერათმიანი დოკერი წამოდგა და მიამიტი სახითა და კეფის ფხანით მიბრუნდა ტრიბუნისაკენ.

— ამხანაგო თავმჯდომარე, ამხანაგო დოილი! მე ჩემი და ზოგიერთი ძმების სახელით მინდა ვთქვა, რომ ჩვენ არ შეგვიძლია იმ პირობების მიღება, რომლებზედაც კომისია დათანხმებულა... ჰო და, აი, კარგს იზამდით, კენჭი რომ“...

კრებაზე მყოფი „უცხოები“ ეხლა გამოცოცხლდენ.

„გააგდეთ აქედან“!—დაიყვირა ერთმა მათგანმა და მოლაპარაკისაკენ გაიწია. ერთ წუთში კრება აფორიაქდა და აირია. ტრიბუნასთან ახლო მჯდარი მუშა წამოდგა, შედგა თავის სკამზე, დაიქნია თავისი ძარღვიანი მუშტები და თავმჯდომარეს შიგ სახეში შეღრიალა:

„თქვენ თითონ გაეთრიეთ აქედან, თქვენი მოსყიდული ყაჩაღებიანად!“.

საერთო ღრიალში ერთი-ორი ხმა ისევ დაჟინებით მოითხოვდა კენჭის ყრას. თავმჯდომარე გადმოიდგა ტრიბუნის კიდურზე და ხელი ასწია. ის იქაჩებოდა, ყვიროდა, რაღაცას „რადიკალების“, „წითლების“ და მათი მოუფიქრებელი საქციელის შესახებ, მაგრამ, მისთვის აღარავის ეცალა“. „დახური კრება!“—მიმართა ბრძანების კილოთი დოილის ერთმა შლიაპიანმა „არამზადამ“. დოილმა დასცხო ჩაქუჩი მაგიდას და ამოიჩრიალა:

— ძმებო, კრება დახურულია!

როცა ყველანი ქუჩაში გავიდენ, ნამდვილი შეტაკება გაიმართა. ვეებერთელა ლონგშირელმა შვედმა განაცხადა, რომ თავმჯდომარეცა და დოილიც გაიძვერები არიან. ერთ-ერთმა „არამზადამ“ იტაცა ხელი უკანა ჯიბისაკენ და „შავი ჯეკი*) შვედის თავზე დაუშვა.

მუხლები მოიკვეთნენ, მძიმე ტანი ნელნელა ჩამოცურდა კედლიდან, რომელსაც მანამდე ეჭიდებოდა, და ტროტუარზე გაიშხლართა. ერთი წუთის წინ, წითური და მზისაგან გარუჯული სახე, ეხლა ზაფრანასავით გაფითრდა. მუშები ყვირილითა და გინებით იხმაურებოდენ ერთმანეთს.—შვედის მოუხეშავმა ტანმა, რომელიც ესიცოცხლოდ ეგდო კავშირის შენობის წინ, უნებისყოფლებში გაძლიერა ღალატის აშკარათ ჩადენისა და ზოგში უსამართლობის წინააღმდეგ ბრძოლის აქამდე ბუნდოვანი სურვილი. ბრბო ორ ნაწილად გაიყო. დოილის მომხრეები კუთხეში შექუჩდენ და მუშები თანდათან მტკიცე რგოლს კრავდენ მათს გარშემო. მოთმინებიდან გამოსულთა ხელები უკვე წვდებოდენ გაიძვერების ყელსა და მხრებს. მაგრამ, ამ დროს, ვიღაცა ქალის ხმამაღალმა კივილმა ქუჩა გაკვეთა: „პოლისმენები!“

მალე სტვენაც გაისმა და ალყაშემორტყმულებმაც უკან დაიხიეს. ჯგუფებად დაიყვენ და სხვადასხვა მიმართულებით გაიფანტენ. პოლისმენები რომ მოვიდენ, მხოლოდ შვედი-ღა იდო ისევ ისე, გაუნძრევლად, კავშირის შენობის შესავალთან...

მეორე დღეს მუშებმა ახალი კომიტეტი ჩამოაყალიბეს, რომელშიც, სხვათა შორის, ედუარდ რობერტსიც შედიოდა.

⁂

ზაფხულის მიწურულში რედ-ჰუკი გამოცოცხლდა—ქიმკრებთან შეგროვილი ქალები დაულაღლავად, იმედიანად ლაპარაკობდენ ახალი კავშირის შესახებ. გაზეთები ხელახლა აივსო მოსალოდნელი გაფიცვის ამბებით. დოილმა კიდევ ერთხელ გაიხავარდა გაზეთის ფურცლებზე: „ძალიან ვწუხვარ გაფიცვის შესახებ მოსიაოული ჭორების გამო“—აცხადებდა ის.

დილაობით, როცა დოკერები სამუშაოზე მიდიოდენ, დოკების ალაყაფთან პოლიციელთა რაზმები იდგენ. შეიარაღებული პოლისმენები ზღვისკენ მიმავალ, ქვით მოკირწყლულ ქუჩებზე დააჭენებდნენ ცხენებს.

გაფიცვას შესაფერი მეთაურიც გამოუჩნდა—ახალგაზრდა ირლანდიელი. მან კომიტეტთან ერთად შეადგინა მოთხოვნილებათა სია, მოაწყო მუშათა პიკეტები და საერთოდ, დაიწყო ორგანიზაციული მუშაობა. თავის მხრით არც დოილი ჩამორჩა. მან გააფრთხილა გაზეთები, რომ, ახალი კომიტეტი კანონგარეშეა გამოცხადებული, რომ მას რადიკალები მეთაურობენ, და რომ ახალგაზრდა ირლანდიელი, სხვათა შორის, ომის დროს პაციფისტი იყოო. ინტერნაციონალური კავშირი კომისიის რეზოლიუციას ბოლომდე დაიცავს: „ნახევარი პური სჯობია სულ უპურობას“—იმეორებდა ის კავშირის თავმჯდომარის სიტყვებს.

იმ დილას, როცა ლონგშორელებმა გაფიცვა გამოაცხადეს, წვიმდა, განთიადისას პოლიციელების შორი-ახლო მუშების პიკეტებიც გამოჩნდნენ. ისინი აჩერებდენ სამუშაოზე მიმავალთ და არწმუნებდენ, რომ მათი მოქმედება საზიანო და ცუდი იყო ყველასათვის. შტრეიკბრეხერებთან კამათში გაფიცულები სულ უბრალო არგუმენტებს იშველიებდენ: „სანოვაგე ერთიათად გაძვირდა“, „ეს იქნებოდა ჩვენი ცოლებისა და ბავშვების პირიდან უკანასკნელი ლუკმის ამორთმევა“... „შემოგვიერთდით ძმებო და ყველაფერი ერთ კვირაში ჩვენი გამარჯვებით გათავდება“..

ედუარდ რობერტმა თავის სიცოცხლეში პირველად იგრძნო, რომ თურმე შეიძლება მისი მარგერეტის, ბავშვებისა და ქუჩის კუთხეში მდებარე სამიკიტნოს გარეშე სხვა ინტერესებიც არსებობდენ. მან, როგორც საპიკეტო კომისიის წევრმა, დილაადრიან წაიყვანა თავისი ხუთი კაცი ქვემოთა დოკებისაკენ და ახლა ის—გამოცოცხლებული და ერთი ფიქრით მოცული მოელოდა მოქმედების დაწყებას...

მისმა ცოლმა მარგერეტმა მიიღო ერთდროული დახმარება სანოვაგით,—გაფიცულთა დამხმარე სადგურიდან. ბინის ქირას კვირიდან კვირამდე სდებდენ. მეწვრილმანე უკვე წუწუნებდა, რადგან ნისიამ ოთხოდე დოლარს მიაღწია. ერთ დღეს რობერტსებს დაზღვევის აგენტი ბლიუმგარდელი ეწვია. მისი მოვალეების სია მთელ

---

*) 

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფიცვამ მის ჯიბეს და გაფიცულთა ცოლშვილს ერთნაირი ზარალი მიაყენა... მან გააფრთხილა მარგერეტი, რომ გადასახადის არ შეტანას ბევრი უსიამოვნების გამოწვევა შეუძლია, მაგრამ, აგენტის არამკითხე გულშემტკივრის სახის იერს და ყალბ მზერმეტყველებას რეალური ნაყოფი არ გამოქონდა.

— მის რობერტს—წამოდგა ბოლოს ბლიუმგარტენი—თქვენ იცით, მაგრამ, ნება მომეცით, ვაგაფრთხილოთ, რომ დაზღვევის დაკარგვა ყველაზე უფრო ახლაა ცუდი, მაგრამ, რა... ჩვენ ამ ნახევარ საათში იმდენი ვილაპარაკეთ, რომ, ათი წლის საქმისათვის კმაროდა. ასე არ არის?

— ვიცი, მისტერ ბლიუმგარტენ—წაილაპარაკა თავჩაღუნულმა მარგერეტმა,—მაგრამ. რა ვქნა? გაფიცვამ...

— დიახ, დიახ!—გააწყვეტინა აგენტმა—ეხლა სწორედ ისეთი დროა, როცა ყველაზე მეტად გჭირდებათ დაზღვევა.

მარგერეტი სდუმდა...

აგენტიც დაიღალა,—ის ხომ მთელი დღის განმავლობაში სულ ამას ეჩიჩინებოდა გაფიცულთა ოჯახებს. ამავე სიტყვებით აფრთხილებდა ყველას, ლაპარაკობდა გაჭირვებაზე, ბავშვებზე, სიმშილზე, სიკვდილზე. ის სიტყვები სადღაც მანჰეტტენის*) ქუჩაში წითელი ხის ავეჯით მოწყობილ კაბინეტებში მოკალათებულმა ენამჭევრმა ჯენტლემენებმა შეთხზეს; შეთხზეს სპეციალურად მისთვის, დაზღვევის აგენტისათვის და მათი აზრით, ამ სასიცოცხლო ფრაზებს ბავშვებისა და სიმშილის, ბედნიერებისა და სიკვდილის შესახებ—შთაბეჭდილება უნდა მოეხდინათ, ბლიუმგარტენიც ყოჩაღად იმეორებდა მათ. გულმოდგინეთ ჰგლეჯდა გროშებს მუშის ჯიბეებს. მაგრამ, ისიც გაბეზრდა. რაღაცა მოდუნებამ მოიცვა, როცა იგი მარგერეტის დახუთულ სამზარეულოში იჯდა, გაქონილი პლიტის გვერდით, და ასე ეგონა, რომ ამ სიტყვებს ის ძალით, ყოველგვარ სურვილის გარეშე ჰგლეჯდა თავის ვაწვალებულ ბაგეებს.

— ღმერთმა კი დაიფაროს, მისსის ყოველი თქვენგანი, მაგრამ, წარმოვიდგინოთ. რომ—ხომ იცით, გაფიცვა, ბატონებისაგან მოსყიდული აგენტები, პოლიცია...—ჰო და, წარმოიდგინოთ, რომ თქვენი ქმარი მოკლეს. მაშინ რაღას იზამთ?

მარგერეტი ჩუმათ, შიშისაგან გაფართოებული თვალებით შესცქეროდა აგენტს. არტური იდგა თავის დედის გვერდზე, უგდებდა ყურს ყველა ამ უცნაურ სიტყვებს და არაფერი ესმოდა. სხვა კაცებიც ხშირად იკრიბებოდნენ ხოლმე მათ სამზარეულოში. მსჯელობდენ და ხანდახან დედამისსაც მიმართავდენ მსგავსი მნიშვნელობის სიტყვებით, რომლებზედაც მარგერეტის სახე მწუხარედ იღუშებოდა. არტურს არც ის სიტყვები ესმოდა.

— რას იზამ!—ამოიოხრა ბლიუმგარტენმა და კარებისაკენ წავიდა,—რაღა უნდა გითხრათ მეტი? მეც დავიღალე, მის რობერტს. მთელი დღე... ერთი კვირა კიდევ —და თქვენი დაზღვევა მოიხსნება. ცოდვა კია ამდენი ხნის წესიერი გადახდის შემდეგ...

ოქტომბრის ბურუსიანი დილაა.

ნისლი ბოლივით ედება რედ-ჰუკის ზღვისაკენ მოქცეულ მხარეს, ხან ფარავს დოკების კედლებს, აქა-იქ აჩქარებით მიმავალ ადამიანებს და უკან, ჰორიზონტზე გემების მოხაზულობას. ქუჩების იმ მხრიდან, რომლებიც დოკებისაკენ მიემართებიან, სათითაოდ ამოდიან მუშები, იკრიბებიან, ლაპარაკობენ და მერე ისევ ნისლში იკარგებიან. მათი ბუნდოვანი ჩრდილები ბურუსს ხევენ და აქუცმაცებენ. ქარხნის ქუჩის გასწვრივ ნალების თქარი-თქური ისმის. ქვეითი პოლიციელები კი ქარხნის ჭიშკრებთან პოზიციებს იკავებენ.

მახლობელი სახლის ღია ფანჯრიდან ბავშვის საცოდავი, გულისმომკვლელი ჩხავილი ისმის.

შვიდი საათი სრულდება. —

უცებ გვერდის ქუჩიდან შტრეიკბრეხერები გამოჩნდნენ. მუშების პიკეტებისაგან მათი გარჩევა ძნელია: იგივე მოუხეშავი სამუშაო ტანისამოსი, იგივე მოხრილი ფიგურები, იგივე უხალისო ნაბიჯი. ყოველ ჯგუფს რამდენიმე აგენტი მიჰყვება. ედუარდ რობერტსი ერთ-ერთი სახლის სადარბაზო კარებში დგას ხუთი ამხანაგით: ისინი უკმაყოფილოდ შესცქერიან მოღალატეებს.

— ერთი ამ არამზადებს უყურე—ამბობს ერთი და იგინება — ეგენი გვართმევენ პირიდან ლუკმას—სკაბები!*)

— ეშმაკმა დასწყევლოს! ბატონებზე და იმათ მელიებზე უარესი ეგენი არიან! აჰა! მეორე პარტიაც მობრძანდება!

რობერტსის პიკეტი მათკენ მიდის. სულმოკლენი ყოყმანობენ, ნაბიჯი ერევათ. მაგრამ, აგენტები მზად არიან და პიკეტიც იძულებული ხდება მოშორდეს „სკაბებს“. მალე მუშებისა, ქალებისა და ბავშვების უწესრიგო ბრბომ აავსო ქუჩა. წვიმა უკვე ძლიერადასხამს და მათი სველი ტანისამოსი ეკვრება სხეულებს: მკაფიოდ აჩენს მათ გამხდარ მკლავებს, ფეხებს, ჩავარდნილ მკერდსა და ვიწრო მხრებს. ყველანი ერთმანეთში ირევიან. ჰაერში პოლიციელის კეტი მოსჩანს. ერთი წუთით ვიღაცას მუშტიც იმართება მღელვარე ბრბოს თავებს ზემოდან, მაგრამ, სასტვენების პირველივე ხმაზე ბრბო ვეღარ ბედავს იერიშზე გადასვლას. დამარცხებული გაფიცულები უკან იხევენ. ვიღაცა ლობიდან აგურს აძრობს და რაც ძალი და ღონე აქვს, პოლიციელებისაკენ ისვრის. ერთს მეორე მოჰყვა და... მანძილი პოლიციელებსა და მუშებს შორის ჯერ კიდევ მთლად გაწმენდილი არ არის. წესრიგის გამხეცებული დამცველები ნიშანს ელიან. ქალები და ბავშვები თავს აფარებენ. ბრძოლის ველზე კაცები რჩებიან. უიარაღოთ, ქვებისა და საკუთარი ხელების ამარა.

ქვები და აგურები სეტყვასავით ცვივა პოლიციელების თავზე და სროლის ხმაც გაისმა. პირველი სროლის შემდეგ მუშები ერთ წუთს სწყვეტენ მოძრაობას, მაგრამ მალე ისევ მათი ყიჟინა ქუჩას აზანზარებს. პოლიციელები შტრეიკბრეხერების დაგვიანებულ ჯგუფს ჭიშკარში ერეკებიან და გაფიცულებიდან ვიღაცა ყვირის:

— ოხ, თქვე ყვითელო იუდებო! თქვე სკაბებო თქვენა!

*) Seab-Streakbreakər —მუშური ჟარგონი, დამახინჯებული „შტრეიკბრეხერი“ ამავე დროს—ქეცი. ქეციანი



პიკეტებს მუშებში ერთგვარი ორგანიზაცია შეაქვთ. გაფიცულთა ძალა იზრდება. ახალ ბრბოს, რომლებიც არ ემორჩილებიან პიკეტებს და ჯალათებისაკენ მიიწევენ, დაბალი, ტანისამოსშემოხეული და წვიმისაგან დამბალ შალში გახვეული ქალი მიუძღვის. ჩქარად წინ არის დანარჩენებზე. ის ბრუნდება ამხანაგებისაკენ და ხელებს აქნევს, რაღაცას ყვირის, მაგრამ. სიტყვები არ ისმის... ქალმა უკვე შუა ქუჩას მიაღწია. მიმდევრები ამხნევებენ, მაგრამ, გამხნევება აღარ სჭირდება, მან როგორც კი მიაღწია ჭიშკართან. სტაცა ხელი ჭიშკარში შემავალ ერთ შტრეიკბრეხერს. ამ დროს პოლიციელმა დაუმიზნა რევოლვერი და პატარა ქალი დაეცა. მისი ტანი ცოტა ხნის მერყეობის შემდეგ იფანტება. დაჭრილი იგრიხება, ტრიალებს ქვაფენილზე და კეფაზე იკიდებს ხელს, თითქოს თავი სტკივაო. ყველაფერ ამას, სხვებთან ერთად, ედუარდ რობერტსიც ხედავს. ის ყურადღებით ადევნებდა თვალს გამბედავ დედაკაცს.

— ეს ხომ მისტრის შმეირერია!—გაუელვა მას თავში. და მის გონებაში გაიარა იმ ღამის მოგონებამ, როცა არტური, მისი ბიჭი იბადებოდა და ის კარგ გუნებაზე ბრუნდებოდა სამუშაოდან. მისტრის შმეერერი, მათი მეზობელი, შეეგება მას და ახარა ბიჭის ყოლა. „მაგრამ, ჩუმად, მარგერეტის ძილის ჩაეძინა—გააფრთხილა მან ბედნიერი მამა და ღიმილით გამოიხურა ოთახის კარები... ეხლა კი ის ეგდო ქვაფენილზე და საცოდავად იკლაკნებოდა.

გარშემო ყველაფერი გაჰქრა. პატარა მისტრის შმეერერის გარდა. ხალხი, პოლიციელები სპილენძის ღილებიან ლურჯ ფორმებში, მათი მოვარვარებული სადგლოები და მოუსვენარი ცხენები უცნაურ პოზებში გაიყინნენ. ყველაფერი დაწყნარდა. სროლაც შეჩერდა. ედუარდ რობერტსი გამოვიდა თავშესაფარიდან და ნელი ნაბიჯით გაემართა ქუჩაში მწოლარე ქალისაკენ. არაფერი ახსოვდა იმის გარდა, რომ მან უნდა აიყვანოს შმეერერი და საჩქაროდ მოაშოროს ცხენების ფეხებს.

მას ესმოდა მოსახვევებში ჩასაფრებულ ამხანაგებისაგან გაფრთხილებები. მაგრამ, მაინც დაუინებით განაგრძობდა გზას. ქუჩის მეორე მხარეს მან წვიმისაგან გაპრიალებულ ცხენებს მოჰკრა თვალი. მერე უცებ ძირს დაიხედა: მისტრის შმეერერი იქ იწვა.

მისი უსისხლო თვალებიანი სახე დოკებისაკენ იცქირებოდა და არავითარი გამომეტყველება არა ჰქონდა. ედუარდმა უნდა მოაშოროს ის აქედან!

მან შემოუარა ქალს ისე, რომ ადვილად შესძლებოდა მისი წამოყენება და წაეყვანა იქით, სამშვიდობოსაკენ. აი. ასე. მკლავებში გაუყრის ხელებს, მერე ზურგზე წამოიკიდებს... მართლა, სად არის ნეტავ მისტერ შმეერერი? იქნება ის ეხლა ყველაფერს ხედავს? იქნება ეჭვიც არ აქვს, რომ მის ცოლს ესროლეს?—რაც არ უნდა იყოს, ედუარდმა უნდა აიყვანოს მისტრის შმეერერი და სახლში მიიყვანოს! თორემ ცხენოსნები დაძრენ.

ედუარდი დაიხარა. —

და იმავე წუთში იგრძნო რაღაცას მძიმედ დარტყმა ფერდში და შემდეგ საშინელი მწვავე ტკივილი. ის შეიროხა.

„მე არ უნდა დავეცე!—უთხრა მან თავის თავს.—მე მძიმე ვარ და მისტრის შმეერერს დავამშავებ. დამჭრის“.

ის გრძნობდა, როგორ იცლებოდა სისხლისაგან. პოლისმენები, ცხენები, გემების საკვამლე მილები — სადღაც გაქრნენ. მერე ერთ ლაქად გადაიქცენ. ედუარდ რობერტსმა ჩაიჩოქა.

— „მე არ უნდა წავიქცე, მძიმე ვარ“—

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მხოლოდ შენიშვნები*)

(კ. მელაძის „კრიტიკული“ ვარჯიშობის გამო)

ის მდგომარეობა, რომელიც ჩვენ გვაქვს შემოქმედებითი დისკუსიის სფეროში, ნათლად მეტყველებს იმის შესახებ, რომ ჩვენში ძალიან სუსტი ყურადღება ექცევა პროლეტარული მხატვრული ლიტერატურის შემოქმედებითი მეთოდისათვის ბრძოლის საკითხებს. დღემდის ჯერ კიდევ არ არის გაშლილი კონკრეტული კრიტიკა იმ მხატვრულ მასალაზე, რომელსაც ჰქმნიან ჩვენი პროლეტარული მწერლები. დაკმაყოფილება მხოლოდ დეკლარატიული განცხადებით, რომ უნდა გაიშალოს შემოქმედებითი დისკუსია, არ არის საკმარისი. არ არის საკმარისი თუ გინდ იმისათვის, რომ ჩვენ სალიტერატურო მარქსისტულ კრიტიკაში ხშირად შეხვდებით მექანისტურ-პერევერზიანულ და მომენშევიკო იდეალისტურ აზროვნების რეციდივებს, რომლებითაც საზღვრავენ ამა, თუ იმ პროლეტარულ მწერლის შემოქმედებით მუშაობას და კლასობრივ იდეოლოგიურ ჩავარდნებს ხსნიან „შემთხვევითობის თეორიით“ (!).

ამ აზრის დასამტკიცებლად შორს წასვლა არ დაგვჭირდება. ვინც წაიკითხავდა ჟურ. „დროშა“-ს მე-15-16 ნომერში მოთავსებულ კარლო მელაძის „კრიტიკულ“ შენიშვნებს, მისთვის ნათელი გახდებოდა ყოველთვის ის.

ამ წერილში ჩვენ გვსურს განვიხილოთ მელაძის მცდარი მოსაზრებანი, ისე, რომ ვიყოთ სრულიად ობიექტიური და არ გავყვეთ მელაძისებურ დავის „სტილს“.

—:—

პროლეტარულმა მწერლობამ, ორ ფრონტზე დაუნდობელი ბრძოლით პარტიის ლიტერატურულ-პოლიტიკურ ხაზის ურყევად გატარების საფუძველზე, მიიპოვა უდიდესი შემოქმედებითი გამარჯვებები. პროლეტარული მხატვრული ლიტერატურა გაიზარდა, როგორც შინაარსიანობის მიხედვით, ისე ფორმალურად. პროლეტარულ მწერლობას ეხლა, როდესაც ჩვენ ვიმყოფებით სოციალიზმის ყველა ფრონტებზე გაშლილი შეტევის პერიოდში, კი არ უხდება მხოლოდ მოპოებულ პოზიციების დაცვა (ის მინიმუმზე ცოტას და პოლიტიკურ ენაზე საკითხის ოპორტუნისტულ გადაჭრას ნიშნავს), როგორც ზოგს ჰგონია, არამედ იგი მოწინააღმდეგეებს უტევს ყველა ფრონტებით და ამასთან ერთად აწარმოებს ბრძოლას შინაარსის და ფორმალურ სრულყოფისათვის — ჰეგემონიის მოპოებისათვის

მაგრამ, ასე ესმის თუ არა ეს საკითხი მელაძეს? რასაკვირველია, არა. იგი სწერს: „ამ წლის განმავლობაში პროლეტარული მწერლობის მნიშვნელოვანმა ნაწილმა კლასთა ჭიდილში შესძლო პროლეტარული მწერლობის პოზიციების დაცვა, ზოგი კი მოითხრა და ტკბილი ლირიკის სიმების აჟღარუნებით ირთობდა თავს“.

აი ჩვენ „მოაზროვნეს“ როგორ ესმის პროლეტარული მწერლობის განვითარება.

პროლეტარულ მწერლობის წინსვლას ჩვენი „კრიტიკოსი“ მხოლოდ პოზიციების **დაცვაში** ხედავს. აქ აშკარად მოსჩანს ძალთა ოპორტუნისტული შეუფასებლობის რეციდივები. მაგრამ, მელაძე ამით არ კმაყოფილდება. ის თანდათან უფრო ანვითარებს მცდარ ოკიდურესობას და ამ გზით ვარდება მოწინააღმდეგეთა იდეოლოგიურ რკალში.

„მარქსისტული კრიტიკა — ამბობს „კრიტიკოსი“ მელაძე — უნდა შეეხოს ყველას პიროვნების განურჩევლად. ასეთი უნდა იყოს სადღეისო ლოზუნგი“.

მელაძე არ კმაყოფილდება უბრალო—„დებულებების“ წამოყენებით. ის იძლევა სადღეისო „საბრძოლო“ ლოზუნგსაც, დღეს, მელაძის სიტყვით, საჭირო აღარ არის მარქსისტულ კრიტიკისათვის კლასობრივი საზომი, „მარქსისტული კრიტიკა უნდა შეეხოს ყველას პიროვნების განურჩევლად“. აქ მიჩქმალულია კრიტიკის კლასიური პრინციპი და საკითხი განსჭვრეტილია პერევერზიანულ ასპექტში. მელაძე თავის წერილში ბევრს ამბობს „ახალს“, მაგრამ არაფერს მარქსისტულს. მიუხედავად კეთილი სურვილისა იყოს მარქსისტი (!) ის იძლევა ეკლექტიური „აზროვნების“ ნიმუშებს. ის ღრმად დარწმუნებულია, რომ ჭეშმარიტებას ლაპარაკობს და ამაყად გაიძახის“ **ჩვენ ყოველგვარი ტენდენციურობის წინააღმდეგი ვართ ლიტერატურულ კრიტიკაში“-ო.** ის წინააღმდეგია იმის, რაც ყველაზე ძლიერი უნდა იყოს მარქსისტულ კრიტიკაში. ის გამოდის არა, როგორც კლასობრივი მეთოდით—დიალექტიური მატერიალიზმით შეიარაღებული, არამედ, როგორც პერევერზევის წვრილფეხა მიმდევარი, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ არა შეგნებით, არამედ შეუგნებლად, იგი საკითხებს „სწყვეტს“ ინტუიციით და არა მარქს-ლენინის რევოლიუციონურ თეორიაზე დაყრდნობით.

სოციალისტური აღმშენებლობის ზრდაგანვითარების საფუძველზე იზრდება კლასობრივი წინააღმდეგობა ყველა ფრონტებზე. მხატვრული ლიტერატურაც, როგორც სხვა იდეოლოგია, არ არის მოწყვეტილი ამ ბრძოლას.

მხატვრულ ლიტერატურაში ჩვენ ვხვდებით კლასობრივ ბრძოლის ყოველ ელემენტს და როგორც კლასიური ბრძოლის მძლავრი იარაღი, იგი კი არ ახდენს საზოგადოებრივ მოვლენების და სოციალურ ძვრების პასიურ ასახვას, არამედ აქტიურად მონაწილეობს და იბრძვის არსებულის გარდასაქმნელად. ამაშია მისი აქტუალურ-პოლიტიკური მნიშვნელობაც, როგორც მხატვრული იდეოლოგიის.

პროლეტარული მხატვრული ლიტერატურა იბრძვის იმის განმტკიცებისათვის, რაც არსებობს და იმის შექმნისათვის, რაც უნდა იყოს. მოწინააღმდეგე—დამარცხებული კლასის ლიტერატურა კი იბრძვის იმის წინააღმდეგ, რაც არის და იმის განმტკიცებისათვის, რაც კვდება. კლასობრივი ბრძოლისა და წინააღმდეგობის გამწვავების ასეთ პირობებში პროლეტარული ლიტერატურის ფუნქციის განსაზღვრა **მხოლოდ პოზიციების დაცვით,** ან მარქსისტულ კრიტიკიდან ყოველგვარ ტენდენციურობის გამოთიშვა (რაც ნიშნავს რევოლიუციონურ-მარქსისტულ ალოის დაკარგვას და მენშევიკური „მარქსიზმის“ აღიარებას) და სხვა აყალბებს პროლეტარული მხატვრული ლიტერატურის და კრიტიკის კლასიურობას, და პარტიულობას, რომელსაც ამხ. ლენინი სასტიკად ებრძოდა.

—:—

ამხ. მელაძე ბოროტად სარგებლობს რა ციტატებით, გვისაყვედურებს, რომ ჩვენ მწერლის ერთი ჟანრიდან მეორეზე გადასვლას ვხსნით ობიექტიური მიზეზებით და ის გათამამებული „მარქსისტი“ ყვირის შემთხვევითობას და სუბიექტიურ მიზეზებს აწერს. რას გავს ეს? ნუ თუ აქ მარქსიზმის ნატამალი მაინც არსებობს? ასეთ მსჯელობაში ყველაფერია გარდა მარქსიზმისა.

ჩვენი წინასიტყვაობის დასასრულს, რომელსაც „აკრიტიკებს“ მელაძე, ვწერდით, რომ ნაროუშვილი ფორმასა და შინაარს იღებს მთლიანობაში. რომ **ნაროუშვილის ფორმის სტიმულს წარმოადგენს შინაარსი,** მაშაშვილი კი ფორმით საზღვრავს შინაარს. ეხება რა ამხ. მელაძე ამ ადგილს მას **ფაქტიურობათ მიაჩნია ფორმისა და შინაარსის დაპირდაპირება,** ჩვენ დაწვრილებით არ შევიძენთ მელაძის ამ მტკიცებას

მხატვრული ლიტერატურის განვითარების განსაზღვრულ საფეხურებზე წინ უსწრებს ფორმა შინაარსს და წინააღმდეგ. ხშირად ახალი შინაარსი „იძულებულია“ დროებით ძველ ფორმაში გამოეხვიოს, რაც კონფლიქტს იწვევს მათ შორის (სტალინი) და სხვა. რომ ყოვლად გაუმართლებელია შინაარსის და ფორმის ყოველთვის ერთნაირად აღება და თქმა იმის თითქოს ყოველთვის ამართლებდეს ფორმა შინაარსს და წინააღმდეგ. მარქსიზმის ანბანი შინაგან წინააღმდეგობათა მთლიანობა, რომელიც განვითარების სტიმულს წარმოადგენს, აქაც ძალაში რჩება. მაგრამ ამ შემთხვევაში მელაძე „არ არის“ დამნაშავე, დამნაშავეა მისი სუბიექტიური განწყობილებანი, რომელმაც აიძულა დაეწერა „კრიტიკული შენიშვნები“ ანგარიშ მიუცემლად, თუ გინდ წინააღმდეგობაშიაც, რომ ჩავარდნილიყო, მაგრამ სამწუხაროდ ინტუიცია აქ „დაეხმარა“, ის არ ჩავარდა წინააღმდეგობაში და წერილის დასაწყისიდან ბოლომდე თანმიმდევრობით განავითარა მცდარი შეხედულებანი.

**ალიოშა მაშაშვილი** უდაოდ ღირსეული წევრია პროლეტარული მწერლობის და არა მარტო წევრი ამხ. მელაძე, არამედ თავისი შემოქმედებით საყვარელი პოეტიც პროლეტარულ მკითხველისა და კომკავშირისათვის, მაგრამ თუ პოეტი ჩამორჩა ეპოქის გაზრდილ მოთხოვნილებებს, ეს არ უნდა დავმალოთ და ავხსნათ სათანადო მიზეზებით, მივუთითოთ და დავეხმაროთ პოეტს წინსვლის საქმეში. მაშაშვილის „დამკვრელი ბრიგადები“ უდაოდ პროლეტარულია, მაგრამ ვერ პასუხობს იმ მოთხოვნილებას, რომელსაც უყენებს მწერალს — პოეტს სოცშეჯიბრებისა და დამკვრელობის განვითარება. ეხლა არ არის საკმარისი იმის ძახილი, რომ უნდა „დამზადდეს ბოლშევიკური განწყობილება“. საჭიროა თვითეული სიტყვა, სტრიქონი უნდა იყოს დამკვრელ მუშათა ბოლშევიკური განწყობილებათა გამომხატველი, რომ პოეზია დამკვრელობის განვითარების და მასების აღზრდის საქმეში გადაიქცეს იდეოლოგიური ზემოქმედების მძლავრ საშუალებად; **პოეზია და საერთოდ მხატვრული ლიტერატურა დღეს კი არ უნდა ლაპარაკობდეს სოციალიზმის შესახებ, არამედ უნდა აშენებდეს ამ სოციალიზმს,** ამაშია მისი პარტიულობის მთელი შინაარსი და ეს არ ესმის ამხ. მელაძეს.

ჩვენ ღრმად გვწამს ის აზრი, რომ ისტორიის **არენაზე ახლად გამოსული აღმავალი კლასის მხატვრული ლიტერატურა ფორმით კი არ იწყებს განვითარებას, არამედ შინაარსით.** ახალი შინარსი, როგორც სამართლიანად ამბობს ამხ. სტალინი. შეიძლება დროებით ძველ ფორმაში გამოეხვიოს (რადგან ახალი შინაარსი მაშინათვე ვერ მონახავს ახალ ფორმას). მაგრამ მათ შორის (ფორმასა და შინაარსს შორის) წარმოიშვებიან კონფლიქტები და ამ კონფლიქტების საფუძველზე განვითარდება ახალი ფორმაც (ზოგიერთმა „სპეციალურმა“ მკითხველმა, რომ ის თაოისებურად არ გაგვიგოს აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ახალი ფორმის ელემენტები თავიდანვეა მოცემული ახალ შინაარსში, მაგრამ ისინი არიან მხოლოდ ელემენტები, რომლებიც ზრდის პროცესში იმყოფებიან).

აქედან ჩვენ იმის თქმა გვინდა, რომ თუ, რომელიმე პროლეტარული მწერალი ფორმალურად ჯერ კიდევ არ არის სრულყოფილი და მისი განვითარება ამ სრულყოფილებისაკენ არის მიმართული, ის სრულებითაც არ ამცირებს მის, როგორც პროლეტარული მწერლის, ღირსებას.

ამხ. მელაძე უკიჟინებს ნაროუშვილს ფორმალურ სისტემაზე და ამბობს: ნუთუ აწყენს ნაროუშვილს მაშაშვილის ფორმა (აი დიალექტიური აზროვნების ნიმუში?). ამ შემთხვევაში, ხომ ნაროუშვილი მაშაშვი-

*) ამ წერილით რედაქცია ამთავრებს დისკუსიას „დროშა“-ში ვინაიდან უფრო მიზანშეწონილად სთვლის მის გაგრძელებას

ლის „ფორმას“ არ გააჩნია ნაროუშვილის შინაარსი, ხომ არ აწყენს ეს უკანასკნელი მაშაშვილს? ამ კითხვაზე მელაძეს არ ძალუძს უპასუხოს. ჩვენ კი სავსებით ვეთანხმებით ამხ. **ბენიტო ბუაჩიძეს.** ვეთანხმებით იმიტომ, რომ მან გაიმეორა ის აზრი, რომელიც ჩვენს წინასიტყვაობაში იყო გამოთქმული. ბ. ბუაჩიძემ ასოციაციის უკანასკნელ პლენუმზე სიტყვა სიტყვით განაცხადა, რომ **მაშაშვილი დღეს ჯერ კიდევ სამხედრო კომუნიზმის პერიოდში იმყოფებაო.**

აქედან ყველაფერი გასაგებია. გასაგებია იმიტომ, რომ დღეს, როდესაც ჩვენი ქვეყანა შევიდა სოციალიზმის პერიოდში, სამხედრო კომუნიზმის განწყობილებებით შეუძლებელია გასცეს პასუხი გაზრდილ მოთხოვნილებებს, რომ ასეთი განწყობილება ვერ შეეგუება თანამედროვე ამოცანებს. ამით ჩვენ იმის თქმა კი არ გვინდა, რომ მაშაშვილი ვერ ეგუება სოციალიზმის პერიოდს, არამედ იმის, რომ მაშაშვილის მხატვრული შემოქმედების კონკრეტული შინაარსი ყოველთვის არ გამომდინარეობენ დროის მოთხოვნილებებიდან და უფრო სუსტად არიან დაკავშირებული იმასთან, რაც უნდა იყოს, რის გამოც მის შემოქმედებით წინსვლას სტიმულს აძლევს ფორმა და ამ გზით მას შეიძლება „გამორჩეს“ სოციალიზმი.

როდესაც ჩვენ ასე ვსწერთ მაშაშვილზე, სრულიადაც არ გვეპარება მხედველობიდან ის გარემოება, რომ ნაროუშვილს ესაჭიროება ფორმის ხარისხობრივი ზრდის ტემპების გაზრდა. პროლეტარული მწერლისათვის დღეს არ არის საკმარისი მხოლოდ იდეოლოგიური სიმტკიცე, საჭიროა ფორმალური სრულყოფაც. ამის გარეშე ბოლშევიზმის დიდი ხელოვნების შექმნა და ჰეგემონიის მოპოვება შეუძლებელია.

დასასრულს ჩვენ უნდა შევჩერდეთ მელაძის პროვოკაციულ ცდებზე. არც ერთი ჭკუადმყოფელი ადამიანი არ უარყოფს იმას, რომ ფ. ნაროუშვილის შემოქმედებას უსათუოდ გააჩნია ნაკლი, რომ საჭიროა ამ ნაკლზე სისტემატიური მითითება და ბრძოლაც, თუ ეს ნაკლი შეცდომებში გადაზრდის საფრთხეს იძლევა, მაგრამ, ძიება თითიდან გამოწოვილ შეცდომების და ამ საფუძველზე მწერლის გაბიაბურება, წარმოადგენს „კრიტიკის“ უაღრესად პროვოკაციულ ხერხს. მელაძის ასეთ ცდებზე ჩვენ დაწვრილებით შევჩერდებოდით. მაგრამ ეჭვი არ გვეპარება, იმაში, რომ მას მკითხველი ოდნავადაც არ დაუჯერებს.

მელაძეს მოყავს ნაროუშვილის „პოლიტიკური პოეტის დეკლარაცია“-დან შემდეგი ადგილი:

„ტაქტიკა მარჯვნით, შეტევა „მარცხნით“,
პრინციპი აშკარა, ბრძოლა ფარული
ოპოლეების ღმუილმა ვერ დაამარცხოს
პარტიის ხაზი გენერალური“.

და შეცდომათ უთვლის პოეტს, რომ ის არ ამბობს, თუ რომელი გადახრაა მთავარი საფრთხე. პოეტი „დეკლარაციის“ მნიშვნელოვან ადგილს უთმობს მემარჯვენე გადახრას, როგორც მთავარ საფრთხეს თანამედროვე ეტაპზე.

თუ მელაძისავით „ვიაზროვნებთ“ (დაგვიხსენ რამე თუ არს ძალა ასეთი აზროვნებისაგან!) და ვიტყვით, რომ პოეტმა ოთხ სტრიქონში „ვერ“ გვიჩვენა გაშლილი ბრძოლა ყველა სახის გადახრების წინააღმდეგ და ვერ გვითხრა, თუ რომელი გადახრა არის მთავარი საფრთხე, მაშინ რაღა უნდა უთხრათ მელაძეს, რომ მან კრიტიკულ (და იგივე „პოლიტიკურ“) შენიშვნებშიც კი ვერ გვითხრა, თუ რა და რა საფრთხე არსებობს. მას მხედველობიდან გამოეპარა კონტრ-რევოლიუციონური ტროცკიზმის რეციდივები, გადახრებთან შემარიგებლობა და სხვა.

კიდევ ერთი შენიშვნა — მელაძე გვისაყვედურებს, რომ ჩვენ წინასიტყვაობაში ვერ აღმოვაჩინეთ ამერიკა. ეს მართალია, ჩვენ ამერიკა ვერ აღმოვაჩინეთ და არც გამოვსულვართ კოლუმბის პრეტენზიებით, მაგრამ არც მელაძის მზგავსათ საკუთარი თავი გაგვიმეორებია.

ვამთავრებთ რა ჩვენს შენიშნვებს, უნდა აღვნიშნოთ, რომ მელაძისებურ „კრიტიკას“ პროლეტარული ლიტერატურის განვითარებისათვის მხოლოდ ზიანის მოტანა შეუძლია. მელაძისებური „კრიტიკა“ არც მაშაშვილისათვის არის კარგი. მაშაშვილს დაეხმარება მხოლოდ ის ვინც ბოლშევიკურ თვითკრიტიკის ქარცეცხლში გაატარებს მის ნაკლსა და შეცდომებს და არ დაფარავს მას. ასევე უნდა ითქვას ნაროუშვილისა და სხვების მიმართაც.

საჭიროა ფართოდ გაიშალოს შემოქმედებითი დისკუსია ადგილობრივ კონკრეტულ მასალაზე და პრინციპიალურ საფუძველზე.

**ეს დისკუსია გადაიქცევა ჩვენი პროლეტარული ლიტერატურის განვითარების მძლავრ სტიმულად და „ფასს“ დაუკარგავს აგრეთვე მელაძისებურ უხეირო ვარჯიშობას.**

ერ. ასტვაცატუროვი.

# ბიბლიოგრაფია

## დავით გურამიშვილი: „დავითიანი“ (ტექსტი. გამოკვლევა. ლექსიკონი)

### ალ. ბარამიძის და ს. იორდანიშვილის რედაქციით.

**გამ „ქართული წიგნი“. ტფილისი. 1930 წ.**

მე-18 საუკუნის ქართული ლიტერატურის ძეგლების გამოცემა მისასალმებელი მოვლენაა. მით უფრო სასიხარულოა ის, რომ ასეთ შემთხვევებში გვაქვს ცდები ამ ძეგლების მარქსისტულ-სოციოლოგიური მეთოდით შეფასებისა. მოძველებული ისტორიზმის ნაცვლად გამოდის ფაქტების სისტემატიკა და მათი ახსნა. დ. გურამიშვილის თხზულებათა რედაქტორებსაც ამ მიმართულებით უმუშავნიათ.

გამოკვლევის ავტორი (ა. ბარამიძე) გურამიშვილის შემოქმედების „სოციოლოგიურ ექვივალენტის“ დაძებნას ცდილა. ის აცხადებს, რომ „მსაზღვრელი“ ფაქტორი ამ შემთხვევაში პოეტის წარმომშობი სოციალური არეა, კლასი მთელი თავისი ფსიქოლოგიური საგანძურით. ამ კლასის სოციალურ ფსიქიკის ძირზეა დამყნილი პოეტურ ჰალუცინაციათა მხატვრული სახეობა“ (გვ. მე-2). „პოეტურ ჰალუცინაციებში“ ავტორი ალბად მწერლის შემოქმედების ენას გულისხმობს. მაგრამ პოეზიის „ჰალუცინაციათა“ კატეგორიად მიჩნევა იდეალისტური ესთეტიკისათვისაც დაძველებული ზღაპარია, ხოლო ასეთი ტერმინოლოგიური დასესხება მარქსისტულ კვლევაში სრულიად უსაფუძვლოა და გაუმართლებელია. (ასეთ გამოთქმებს ავტორი არა ერთ გზით ხმარობს. მე-27 გვერდზე გვხვდება ფრაზა: „იმედიანი ჰალუცინაციები“... უნდა ვივარაუდოთ, რომ არსებობს „უიმედო ჰალუცინაციებიც“. ფსიქიატრიამ კი, სამწუხაროდ, ასეთი დაყოფა არ იცის!..)

ეს ზოგადი შენიშვნა.

წერილში კარგადაა დახასიათებული საქართველოს პოლიტიკური ვითარება მე-18 საუკუნისა. აღდგენილია კლასობრივი ურთიერთობის სურათიც. ავტორი სამართლიანად ეძებს გურამიშვილის პოეზიის გასაღებს ამ ისტორიულ (სოციალურ და პოლიტიკურ)... ტის გრძნობიერების და განცდების მხატვრულ უშუალობას (გვ. მე-XLVI) ის სწერს: „მაგრამ, ჩვენის აზრით, ამ შემთხვევაში ძლიერ მცირე წვლილი განეკუთვნება კერძოდ დავით გურამიშვილის ინდივიდუალურ ინსტიქტებსა და ინდივიდუალური განცდების მომენტებს (თუმცა ნაწილობრივ არც ესაა გამორიცხული). **ჩვენ ამით ოდნავად იმის თქმა არ გვინდა, რომ პოეტი თითქოს მაინცდამაინც გარკვეული წოდების თუ გარკვეული კლასის პროგრამულ იდეოლოგიას გვიშლიდეს წინ** (კურსივი ჩვენია გ.), მაგრამ ამასთან ისიც უდავოა, რომ გურამიშვილი სწორედ გარკვეული სოციალური წრის წარმომადგენელია და ამ წრის იდეოფსიქიური ფიქსატორი“. (XLVII).

აქ უსათუოდ თვალსაჩინო შეცდომაა. ავტორი წინააღმდეგობის შერიგებას ცდილობს იქ, სადაც ეს წინააღმდეგობა არ არსებობს. რომ თვითეული მწერალი „გარკვეული კლასის გარკვეულ იდეოლოგიას გვიშლის წინ“—ეს მარქსიზმისათვის არ არის საკამათო. როგორც ეტყობა საეჭვოა ეს წერილის ავტორისათვის. ცხადია—ასეთი მარქსიზმი არ არის სრული.

ავტობიოგრაფიულ მასალების მხრივ გამოკვლევაში ახალი არაფერია თქმული (ამას თავისი გასამართლებელი საბუთი აქვს). **თ. ჟორდანიას** ეტიუდთან შედარებით. (იხ. „ივერია“, 1870 წ. № 1. 2. 1882 № 1—2), ავტორი შენიშნავს, რომ თ. ჟორდანია არ შეხებია დ. გურამიშვილის ბიოგრაფიის მალოროსიულ პერიოდს. მაგრამ ეს ხომ პროფ. **ა. ხახანაშვილმა** შეავსო. (იხ. Очерки по истории грузинской словесности, М 1901 вып. 3 стр. 202—218). ავტორიც უმთავრესად იმ მასალებით ხელმძღვანელობს აღნიშნულ საკითხზე, რომლებიც ა. ხახანაშვილს აქვს დასახელებული.

ზოგიერთ ასეთ უხერხულობათა მიუხედავად ა. ბარამიძის შრომა დასაფასებელია. რაც მთავარია—ჩვენი ძველი ლიტერატურის შესწავლის დარგში ახალი მეთოდით კვლევის წარმოება უცნობი ამბავია და სრულიად ბუნებრივია, თუ მას თანდაჰყვა ზოგიერთი ნაკლი. ახალი აზრდა ისტორიკოსმა უნდა გაამახვილოს ყურადღება განსაკუთრებით მარქსისტული ლიტერატურათმცოდნეობის მეთოდოლოგიურ პრობლემებზე.

წიგნი ტექნიკურად კარგადაა გამოცემული. დართული აქვს კარგად შესრულებული ლექსიკონი გურამიშვილის ლექსებისა და ბიბლიოგრაფია.

გ.





სუხუმის დემონსტრაციულ-ტურისტული ცენტრის მოედანი.



ქართული ფილარმონიის ახალი შენობა.



(ზუგ. რაიონი) შეშის გადმოზიდვა თბილისისათვის





ფოთში მიღებულ იქნა 1.000 ვაგონი ფქვილი.



ახალი ორთქლმავალი საჩუქრად 14 ... თავს



სტუდენტთა ქალაქის გაშენება გაძლიერებული ტემპით სწარმოებს. სტუდენტთა ახალი საერთო საცხოვრებელი



მეზღვაურთა ახალი კადრების მომზადება. სურათზე: ვარჯიშობა. ნაოსნობაში ...

# შემდეგი ნომერი გამოვა ...